

დამტკიცებულია
საქართველოს მთავრობის
2011 წლის 30 დეკემბრის
№ 2639 განკარგულებით

სამრეწველო პროდუქტების ბაზარზე ზედამხედველობის

სტრატეგია

შესავალი

სტრატეგია შემუშავებულია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 16 ივლისს დამტკიცებული „სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის სფეროში საქართველოს მთავრობის სტრატეგიის“ (შემდგომში – სტრატეგია) და 2010 წლის 25 აგვისტოს „სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის სფეროში საკანონმდებლო რეფორმის და ტექნიკური რეგლამენტების მიღების სამთავრობო პროგრამის“ (შემდგომში – პროგრამა) შესაბამისად, რომელიც ეფუძნება ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკას.

ბაზრის ზედამხედველობა განხორციელდება ევროკავშირთან შეთანხმებული სტრატეგიისა და პროგრამის პრინციპების გათვალისწინებით.

ეს პრინციპებია:

- სათანადო კომპეტენტური ორგანო(ებ)ის ჩამოყალიბება, რომლებიც განახორციელებენ ბაზარზე განთავსებული პროდუქტის მონიტორინგს პროდუქტის ზოგადი უსაფრთხოებისა და

ქვეყანაში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების შესაბამისად;

- ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოების ინსტიტუციონალური ეფექტურობა;
- ბაზარზე ზედამხედველობის პროცედურების და ინსტიტუტების განვითარება და საბოლოოდ, მათი შესაბამისობა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან;
- ბაზარზე ზედამხედველობის სისტემის მიერ ბაზრის ეტაპობრივი დაფარვის უზრუნველყოფა შერჩეული სექტორებისა და პროდუქტის ჯგუფების მიხედვით;
- პირველ ეტაპზე, ბაზარზე განთავსებული პროდუქტის ზედამხედველობა დოკუმენტური კონტროლის გზით, ხოლო მოგვიანებით, ასევე, უშუალოდ პროდუქტის კონტროლის მეშვეობით;
- ბაზრის ზედამხედველობის ორგანოების საქმიანობის სრული გამიჯვნა შესაბამისობის შეფასების საქმიანობისაგან, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით;
- ბაზრის ზედამხედველობის განხორციელება, პირველ ეტაპზე, ბაზარზე რეაქტიული ზედამხედველობით, მეორე ეტაპზე – პროაქტიული ზედამხედველობით;
- ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოების საქმიანობის გამჭვირვალობა, მიზანმიმართულობა და რისკის პროპორციული ქმედება;
- მწარმოებლების, იმპორტიორების ან ექსპორტიორების მიმართ ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოების მხრიდან ახალი წე-

სების, გადამეტებული რეგულირების ან პროცედურების შემოღების ან/და გამკაცრების დაუშვებლობა;

- მარეგულირებელი კანონმდებლობისა და ტექნიკური რეგლამენტების მიღების შემდგომ (ე.წ. რეგულირებული სფეროები), ბაზარზე ზედამხედველობა, მხოლოდ ბაზარზე განთავსებული პროდუქტის მიმართ;
- რისკზე დაფუძნებული ზედამხედველობა იმ ჯგუფების/სექტორების მიმართ, რომელთა არჩევაც მოხდება ეტაპობრივი მიდგომით;
- მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, საჯარო/კერძო პარტნიორობის მოდელის გამოყენება ბაზარზე ზედამხედველობის პროცესში;
- ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისი მოთხოვნების დარღვევისათვის ეფექტიანი, პროპორციული და აღმკვეთი ხასიათის ჯარიმების შემოღება;
- სფეროები, სადაც არ არის შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტები, ზედამხედველობის მიზნებისთვის გამოიყენება პროდუქტის ზოგადი უსაფრთხოების მოთხოვნები;
- ბაზარზე ზედამხედველობის განხორციელება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის პრინციპების გათვალისწინებით;
- სერიოზული რისკის შემცველი პროდუქტის მიმართ კომპეტენტური ორგანოების უფლებამოსილება, მიიღონ ყველა საჭირო ზომა, რათა გარანტირებული იყოს მომხმარებელთა ჯანმრთელობა და უსაფრთხოება;

- ბაზარზე ზედამხედველობის სისტემის ეფექტური ფუნქციონირება და ამ სისტემის მონაწილე პირების ფორმალიზებული და არაფორმალური თანამშრომლობა.

სტრატეგიის მიზანი

- ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრებისა და გარემოს დაცვა;
- ბაზარზე უსაფრთხო პროდუქტის განთავსება და თავისუფალი მიმოქცევა;
- მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ექსპლუატაციის წესებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის გზით;
- რისკის ანალიზსა და შეფასებაზე დამყარებული ზედამხედველობის სისტემის დანერგვა;
- მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ტექნიკური ინსპექტირების სისტემის ჩამოყალიბება და ინსპექტირების ორგანოების საქმიანობისათვის გამართული სამართლებრივი ბაზის შექმნა;
- ბაზარზე ზედამხედველობის სახელმწიფო ორგანოებისა და ინსპექტირების ორგანოების უფლებამოსილებათა გამიჯვნა მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ექსპლუატაციისა და კონტროლის სფეროში;
- მინიმალურად საჭირო რეგულირებით უსაფრთხო პროდუქტის ბაზარზე განთავსების უზრუნველყოფა;
- ბაზარზე ზედამხედველობის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბების მიზნით, ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს სათანადო

ლო უფლებამოსილებითა და რესურსებით აღჭურვა, რათა დაუყოვნებლივ და ეფექტურად მოახდინოს საფრთხის შემცველი პროდუქტის ამოღება, რომელიც უკვე განთავსებულია ბაზარზე და, უკიდურეს შემთხვევაში, უნდა გააჩნდეს იმისი უფლებამოსილება, რომ მოახდინოს აღნიშნული პროდუქტის მომხმარებლისაგან გამოთხოვა. ეს უფლებამოსილება უნდა იქნეს გამოყენებული მაშინ, როდესაც მწარმოებლები და დისტრიბუტორები ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად ვერ ასერხებენ აღნიშნული რისკის თავიდან აცილებას;

- რეგულირებულ სფეროს მიკუთვნებული პროდუქტი, რომელიც წარმოებულია პროდუქტის უსაფრთხოების სათანადო სტანდარტებისა და განვითარებული ხარისხის ინფრასტრუქტურის მქონე ქვეყნებში, მათი კანონმდებლობის შესაბამისად, ასეთი პროდუქტი ბაზარზე განთავსდება შეზღუდვების გარეშე;
- პროდუქტის უსაფრთხოების ეფექტური ზედამხედველობის არსებობა, რომელიც მიიღწევა ინფორმაციის მყისიერი გაცვლის სისტემის დანერგვით, რომელიც იძლევა საშუალებას, ბაზარზე განთავსებული პროდუქტის მიერ გამოწვეული სერიოზული რისკის არსებობის შემთხვევებში, განხორციელდეს დაუყოვნებლივი ჩარევა პროდუქტის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით;
- პროდუქტი აკმაყოფილებს უსაფრთხოების ძირითად მოთხოვნებს, თუ იგი წარმოებულია ევროკომისიის მიერ მიღებული/დამტკიცებული ახალი და გლობალური მიდგომის დირექტივების მოთხოვნების დაცვით და მას გავლილი აქვს შესაბამისობის შეფასების პროცედურები.

ძირითადი ცნებები

ამ სტრატეგიის მიზნებისათვის და შემდგომში – კანონმდებლობაში გამოყენებული ცნებები ძირითადად ჰარმონიზებულია ევროპული დირექტივების (პროდუქტის ზოგადი უსაფრთხოების დირექტივა, წუნდებულ პროდუქტზე პასუხისმგებლობის დირექტივა და სხვ.) ცნებებთან:

- პროდუქტი არის ყველა მოძრავი ნივთი და ნივთთან დაკავშირებული მომსახურება, თუნდაც ეს ნივთი იყოს სხვა მოძრავი ან უძრავი ნივთის შემადგენელი ნაწილი;
- უსაფრთხო პროდუქტი არის პროდუქტი, რომელიც დანიშნულებისამებრ, გონივრული გამოყენებისას და ვარგისიანობის ვადის დაცვით არ შეიცავს რისკს, ან შეიცავს მხოლოდ ადამიანთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გათვალისწინებით დასაშვებად მიჩნეულ მინიმალურ რისკს. უსაფრთხოების უფრო მაღალი დონის უზრუნველყოფის შესაძლებლობა, ან ნაკლები რისკის შემცველი სხვა პროდუქტის ხელმისაწვდომობა არ წარმოადგენს პროდუქტის სახიფათოდ მიჩნევის საფუძველს;
- სახიფათო პროდუქტი არის პროდუქტი, რომელიც არ შეესაბამება ამ მუხლში მოცემულ „უსაფრთხო პროდუქტის“ განმარტებას;
- მწარმოებელი არის:
 - დასრულებული პროდუქტის, ნედლი მასალის ან შემადგენელი ნაწილის მწარმოებელი, ან/და პროდუქტის გადამკეთებელი, ასევე სხვა ნებისმიერი პირი, რომლის სახელი,

სავაჭრო ან სხვა განმასხვავებელი ნიშანი განთავსებულია პროდუქტზე და თავს წარმოადგენს, როგორც ამ პროდუქტის მწარმოებელი;

- საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი წარმომადგენელი, ან/და პროდუქტის ბაზარზე განმათავსებელი, იმ შემთხვევაში, თუ უცხოელ დამამზადებელს არ ჰყავს წარმომადგენელი საქართველოში;
- პირი, რომელიც თავისი საქმიანობის ფარგლებში პროდუქტით უზრუნველყოფს ბაზარს და რომლის საქმიანობას შეუძლია გავლენა მოახდინოს ბაზარზე განთავსებული პროდუქტის უსაფრთხოების მახასიათებლებზე;
- დისტრიბუტორი არის პირი, რომელიც თავისი საქმიანობის ფარგლებში პროდუქტით უზრუნველყოფს ბაზარს და რომელიც პროდუქტის მიმართ სათანადო პირობების დაცვის შემთხვევაში არ ახდენს გავლენას პროდუქტის უსაფრთხოების მახასიათებლებზე;
- ავტორიზებული წარმომადგენელი არის მწარმოებლის მიერ ავტორიზებული პირი, რომელსაც მწარმოებლის ნაცვლად შეიძლება მიმართონ უფლებამოსილმა პირებმა ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნებთან დაკავშირებით;
- იმპორტიორი/ბაზარზე განთავსებისათვის პასუხისმგებელი პირი არის პირი, რომელიც პასუხისმგებელია საზღვარგარეთ წარმოებული პროდუქტის ბაზარზე განთავსებისათვის;
- ბაზარზე განთავსება არის საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე პროდუქტის ბაზარზე პირველადი მიწოდება წარმოების, იმპორტის, იჯარის, ლიზინგის ან სხვა გზით კომერციული ან არაკომერციული მიზნებისათვის. პროდუქტის ყო-

ველი მომდევნო მიწოდება არ ჩაითვლება ბაზარზე განთავსებად;

- ექსპლუატაციაში გაშვება არის ქვეყანაში პროდუქტის პირველად გამოყენება. იმ შემთხვევაში, როდესაც პროდუქტის ექსპლუატაციის დაწყება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით, აღნიშნული შეიძლება დაექვემდებაროს დამატებით ტექნიკურ მოთხოვნებს;
- ბაზარზე განთავსებად არ ითვლება:
 - მწარმოებლის მიერ პროდუქტის საკუთარი წარმომადგენლობისათვის მიწოდება;
 - როდესაც პროდუქტი მიწოდებულია შემდგომი დახვეწის მიზნით (მაგალითად, აწყობა, შეფუთვა, გადამუშავება ან ეტიკეტირება);
 - როდესაც პროდუქტი არ არის განთავსებული საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე;
 - როდესაც პროდუქტი წარმოებულია საქართველოში სხვა ქვეყანაში ექსპორტის მიზნით;
 - როდესაც პროდუქტი განკუთვნილია სადემონსტრაციოდ;
 - როდესაც პროდუქტი განთავსებულია საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე დასაწყობების მიზნით და პროდუქტი არ არის ხელმისაწვდომი მომხმარებლისათვის, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტით დასაწყობებისთვის;
- ტექნიკური დოკუმენტაცია მოიცავს ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებულ საჭირო ინფორმაციას პროდუქტის პროექტირების, წარმოებისა და ექსპლუატაციის შესახებ;

- შესაბამისობის შეფასება არის პროცედურები, რომლითაც დგინდება, შესრულებულია თუ არა შესაბამისობის შეფასების ობიექტის მიმართ დადგენილი მოთხოვნები;
- შესაბამისობის შეფასების ობიექტს წარმოადგენს მასალა, პროდუქტი, მომსახურება, პროცესი, სისტემა, პირი, რომლის მიმართაც გამოიყენება შესაბამისობის შეფასება;
- შესაბამისობის შემფასებელი პირი არის პირი, რომელიც თავისი საქმიანობის ფარგლებში ახორციელებს შესაბამისობის შეფასებას. რეგულირებულ სფეროში შესაბამისობის შეფასებას ახორციელებს აკრედიტებული ან კანონით განსაზღვრული სხვა პირი;
- რეგულირებული სფერო არის საქართველოს კანონით განსაზღვრული სფერო, რომელიც პირდაპირ ადგენს ობიექტებს, რომელთა შესაბამისობის შეფასება სავალდებულოა;
- პროდუქტის გამოთხოვა არის ქმედება, რომელიც მიმართულია საფრთხის შემცველი პროდუქტის დაბრუნებაზე, რომელიც უკვე მიწოდებულია ან ხელმისაწვდომია მომხმარებელთათვის მწარმოებლის ან დისტრიბუტორის მიერ;
- პროდუქტის ამოღება არის ქმედება, რომელიც მიმართულია მომხმარებელთათვის საფრთხის შემცველი პროდუქტის დისტრიბუციის, შეთავაზების ან მიწოდების შეწყვეტისაკენ;
- ახალი მიდგომის ტექნიკური რეგლამენტი არის ტექნიკური რეგლამენტი, რომელიც შემუშავებულია/მიღებულია ევროკავშირის ახალი მიდგომის შესაბამისი დირექტივის საფუძველზე;

- წუნდებული პროდუქტი არის პროდუქტი, რომელიც არ აკმაყოფილებს უსაფრთხოების ისეთ მოთხოვნებს, რომელსაც ელის მისგან პირი:
 - ზოგადი წარმოდგენის გათვალისწინებით ამ პროდუქტზე;
 - ჩვეულებრივი გამოყენების პირობებში;
 - იმ პერიოდისათვის არსებული მოთხოვნების გათვალისწინებით, როდესაც პროდუქტი განთავსდა ბაზარზე;
- მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტი არის ტექნიკური ნაკეთობა, დანადგარი, მოწყობილობა, მათი ნებისმიერი კომბინაცია, შენობა-ნაგებობა, მათ შორის, განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტი, შეზღუდულად ბრუნვადი ნივთიერება ან ისეთი საქმიანობის განმახორციელებელი ობიექტი და პროცესი, რომელიც შეიცავს პოტენციურ ტექნიკურ საფრთხეს და რომელსაც ავარიის ან არასწორი ექსპლუატაციის შემთხვევაში შეუძლია, ზიანი მიაყენოს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებასა და გარემოს;
- მომეტებული ტექნიკური საფრთხე არის საფრთხე, რომელსაც შეიცავს სამოქალაქო ბრუნვაში არსებული ობიექტი, ასევე მის შექმნასა და ექსპლუატაციასთან დაკავშირებული პროცესი, რომლის წარმოება, მშენებლობა, მონტაჟი, შენახვა, ტრანსპორტირება, ბრუნვა, გამოყენება და განადგურება შეიცავს ნგრევის, აფეთქების, ემისიისა და ინტოქსიკაციის საფრთხეს და წარმოადგენს მომეტებულ რისკს ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრებისა და გარემოსათვის;
- ავარია არის ობიექტის რღვევა, ნგრევა, აფეთქება ან ემისია, რომელიც იწვევს ადამიანის ინტოქსიკაციას, მისი სიცოცხ-

ლის მოსპობას, ან ზიანს აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას, გარემოს და მატერიალურ ფასეულობებს;

- შეუსაბამობა არის ობიექტის დაზიანება, წუნი, სათანადო ტექნოლოგიური პროცესიდან გადახრა, რომელიც ზრდის საფრთხის რისკს, აგრეთვე, უსაფრთხოების წესების დარღვევა, რომელიც შეიძლება განეკუთვნებოდეს არაარსებით, არსებით ან კრიტიკულ შეუსაბამობას:
 - არაარსებითი შეუსაბამობა არის შეუსაბამობა, რომლის გამოსწორება შესაძლებელია ჩვეულებრივი საქმიანობის შეჩერების გარეშე, რომელიც არ უქმნის პირდაპირ საფრთხეს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან გარემოს და რომელიც უნდა აღმოფხვრას ობიექტის მფლობელმა;
 - არსებითი შეუსაბამობა არის შეუსაბამობა, რომლის გამოსწორება სავალდებულოა, მაგრამ დაუყოვნებლივ შეუძლებელია და რომელიც მოცემული მომენტისათვის არ წარმოშობს სასიცოცხლო საფრთხეს, თუმცა გარკვეული დროის განმავლობაში მისი გამოუსწორებლობა საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან გარემოს;
 - კრიტიკული შეუსაბამობა არის შეუსაბამობა, რომელიც მომეტებულ საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან გარემოს და რომლის დაუყოვნებლივ გამოსწორება სავალდებულოა, ობიექტის ექსპლუატაციის შეჩერების ღონისძიების გამოყენების ჩათვლით;

- ინსპექტირება არის ბაზარზე ზედამხედველობის მიზნით ობიექტის საქართველოს კანონმდებლობითა და ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების პროცესი, რომელიც ხორციელდება ტექნიკური ინსპექტირებისა და დოკუმენტური კონტროლის ფორმით, პროფესიული შეფასების საფუძველზე;
- ტექნიკური ინსპექტირება არის ინსპექტირების ორგანოს ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ ობიექტის ადგილზე შემოწმება, რომელიც მოიცავს, ასევე ობიექტის ტექნიკურ დოკუმენტებთან შესაბამისობის დადგენას;
- დოკუმენტური კონტროლი არის ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს მიერ ინსპექტირების მასალების ანალიზი, შეფასება და სათანადო რეაგირება;
- ინსპექტირების ორგანო არის ობიექტის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების განმახორციელებელი დამოუკიდებელი პირი, რომელიც რეგისტრირებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და აკრედიტებულია აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ასევე, სხვა შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო;
- ობიექტის ტექნიკური სპეციფიკაცია მოიცავს:
 - ობიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემებს;
 - ინფორმაციას ობიექტის მფლობელის შესახებ;
 - ინფორმაციას ობიექტის მწარმოებლის/მშენებლის შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

- ობიექტის ძირითად ტექნიკურ მახასიათებლებს;
 - ინფორმაციას ობიექტის ადგილმდებარეობის შესახებ;
 - ინფორმაციას ობიექტზე განხორციელებული ტექნიკური ინსპექტირების შესახებ;
 - ინფორმაციას ობიექტზე მომხდარი ავარიის შესახებ;
 - საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ სხვა პარამეტრებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
 - სანებართვო ობიექტის ნებართვის ნომერს ან შესაბამისი აქტის ნომერს, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- მითითება არის ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს მიერ სამშენებლო საქმიანობაზე დამრღვევის მიმართ გაცემული შენიშვნა შეუსაბამობაზე და მოთხოვნა, რომელიც განსაზღვრავს გონივრულ ვადას, შეასრულოს მითითებაში მოცემული პირობები სამშენებლო სამართალდარღვევის გამოსასწორებლად;
 - ინსპექტირების ოქმი არის ჩატარებული ტექნიკური ინსპექტირების შედეგების ამსახველი დოკუმენტი, რომელიც უნდა შეიცავდეს შემოწმების შედეგებს და შესაბამისობის შეფასების მონაცემებს;
 - ტექნიკური სერტიფიკატი არის ინსპექტირების ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ობიექტის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას;
 - მონიტორინგის ნუსხა არის კრიტიკული შეუსაბამობის მქონე ობიექტების ჩამონათვალი, რომელსაც ადგენს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო, მასში შეტანილ ობიექტებზე ახორ-

ციელებს მონიტორინგს კრიტიკული შეუსაბამობის აღმოფხვრამდე;

- მსგავსი ტიპის შეუსაბამობა არის მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტებზე არსებული მსგავსი ტიპის ელექტრულ და მექანიკურ მანქანა-დანადგარებზე, მექანიზმებსა და მოწყობილობებზე, ასევე მსგავს ტექნოლოგიურ პროცესებთან დაკავშირებით არსებული დარღვევები.

პროდუქტის უსაფრთხოება და პასუხისმგებლობა

ბაზარზე განთავსებული პროდუქტი უნდა იყოს მომხმარებლისთვის უსაფრთხო და იგი უნდა შეესაბამებოდეს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, ხოლო თუ პროდუქტმა გამოიწვია ზიანი, ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრება მწარმოებელს.

- პროდუქტის უსაფრთხოება შეფასებული უნდა იქნეს ყველა შესაბამისი ფაქტორის გათვალისწინებით, მათ შორის, მომხმარებელთა იმ კატეგორიის გათვალისწინებით, რომლებიც განსაკუთრებით მგრძობიარენი არიან პროდუქტთან დაკავშირებული რისკების მიმართ, კერძოდ, ბავშვები და ხანდაზმულები;
- მწარმოებლის ვალდებულებაა, ბაზარზე განათავსოს მხოლოდ უსაფრთხო პროდუქტი;
- მწარმოებელმა პასუხი უნდა აგოს იმ ზიანისათვის, რომელიც გამოწვეულია მის მიერ ბაზარზე განთავსებული წუნდებული პროდუქტით;

- როდესაც ვერ ხერხდება პროდუქტის მწარმოებლის მიკვლევა, მიუხედავად იმისა, რომ პროდუქტზე შეიძლება მითითებული იყოს მწარმოებლის დასახელება, მაშინ პროდუქტის მწარმოებლად ითვლება ამ პროდუქტის ბაზარზე ფაქტობრივად განმათავსებელი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბაზარზე განმათავსებელი დაზარალებულ პირს გონივრულ ვადაში ატყობინებს მწარმოებლის ან იმ პირის ადგილსამყოფელის შესახებ, რომელმაც მას მიაწოდა პროდუქტი;
- როდესაც ორი ან მეტი პირი პასუხისმგებელია ზიანის ანაზღაურებაზე, მათი პასუხისმგებლობა დგება სოლიდარულად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, პასუხისმგებლობის წილობრივად დანაწილებით;
- ბაზარზე შეიძლება განთავსდეს წუნდებული პროდუქტი, თუ ამ წუნის შესახებ მიმწოდებელმა მიაწოდა ინფორმაცია პროდუქტის მომხმარებელს და მიუხედავად წუნისა, მომხმარებელი თანახმაა შეიძინოს აღნიშნული პროდუქტი;
- მწარმოებელი პასუხს აგებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ზარალი გამოწვეულია ერთდროულად, წუნდებული პროდუქტით და მესამე პირის ქმედებით;
- მწარმოებელმა თავისი კომპეტენციის ფარგლებში უნდა გააფრთხილოს მომხმარებელი იმ თვალსაჩინო თუ არათვალსაჩინო რისკების შესახებ, რომელსაც შეიცავს პროდუქტი, თუ პროდუქტი გამოყენებულია დანიშნულებისამებრ და წინასწარგანსაზღვრული ვადის განმავლობაში;
- იმ შემთხვევაში, თუ მწარმოებელს შეუძლია რისკის თავიდან აცილება, მან უნდა განახორციელოს ყველა ღონისძიება, რათა თავიდან იქნეს აცილებული ამგვარი რისკი;

- მწარმოებელმა უნდა იმოქმედოს სათანადო გულისხმიერებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროდუქტის უსაფრთხოების ძირითად მოთხოვნებთან შესაბამისობა;
- მწარმოებელმა არ უნდა განათავსოს ბაზარზე ისეთი პროდუქტი, რომელიც მის ხელთ არსებული ინფორმაციისა და ცოდნის საფუძველზე, არ შეესაბამება უსაფრთხოების სავალდებულო მოთხოვნებს;
- დისტრიბუტორმა თავისი საქმიანობის ფარგლებში ხელი უნდა შეუწყოს ბაზარზე განთავსებული პროდუქტის უსაფრთხოებას;
- მწარმოებელმა/დისტრიბუტორმა საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში უნდა ითანამშრომლოს უფლებამოსილ ორგანოებთან იმ პროდუქტის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, რომელიც განთავსდა ან განკუთვნილია ბაზარზე განსათავსებლად;
- თუ მომხმარებელს მიაღვა ზიანი წუნდებული პროდუქტით, დაზარალებულმა უნდა დაამტკიცოს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი წუნდებულ პროდუქტსა და მიყენებულ ზიანს შორის;
- თუ მწარმოებელი ან ავტორიზებული წარმომადგენელი არ ოპერირებს საქართველოში, იმპორტიორმა შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მოთხოვნის შემთხვევაში ამის შესახებ უნდა უზრუნველყოს ამ ორგანოს ინფორმირება;
- იმპორტიორმა (პირმა, რომელიც პასუხისმგებელია ბაზარზე განთავსებაზე) უნდა მიაწოდოს ბაზარზე ხედამხედველობის ორგანოს შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი და უნდა უზრუნველყოს პროდუქტის ტექნიკური დოკუმენტების ხელმისაწვდომობა. ეს პასუხისმგებლობა ეკისრება იმპორტი-

ორს მხოლოდ მაშინ, როდესაც მწარმოებელი ან ავტორიზებული წარმომადგენელი არ ოპერირებს საქართველოში;

- დისტრიბუტორებმა, მათი საქმიანობის ფარგლებში, უნდა მიიღონ მონაწილეობა ბაზარზე განთავსებული პროდუქტის უსაფრთხოების მონიტორინგში, განსაკუთრებით, პროდუქტის რისკის თაობაზე ინფორმაციის გადაცემის სახით ისინი ვალდებული არიან, ითანამშრომლონ შესაბამის პირებთან რისკების თავიდან ასაცილებლად;
- მწარმოებელი და დისტრიბუტორი ბაზარზე განთავსებულ პროდუქტთან დაკავშირებული რისკების აღმოფხვრის დონისძიებებში უნდა მონაწილეობდნენ კომპეტენტური უფლებამოსილი ორგანოების მოთხოვნის საფუძველზე. ასეთი თანამშრომლობის წარმოების პროცედურები უნდა შეიმუშაონ კომპეტენტურმა უფლებამოსილმა ორგანოებმა;
- პროდუქტის უსაფრთხოების შეფასების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული:
 - პროდუქტის მახასიათებლები, რომელიც მოიცავს მის შემადგენლობას, შეფუთვას, აწყობის და, შესაბამის შემთხვევაში, მონტაჟისა და შეკეთების ინსტრუქციებს;
 - გავლენა სხვა პროდუქტზე, როდესაც გონივრული გამოყენების ფარგლებში სავარაუდოა მისი გამოყენება ამ პროდუქტთან ერთად;
 - პროდუქტის პრეზენტირება, ეტიკეტირება, გაფრთხილება, ინსტრუქცია მისი გამოყენებისა და განადგურების შესახებ ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც ეხება ამ პროდუქტს;

- მომხმარებელთა ის ასაკობრივი კატეგორიები, რომელთაც ამ პროდუქტის გამოყენებით შეიძლება მიაღვეთ ზიანი;
- უსაფრთხო პროდუქტი არ მიიჩნევა საფრთხის შემცველ პროდუქტად, თუ შესაძლებელია უსაფრთხოების უფრო მაღალი ხარისხის მიღწევა, ან უფრო უსაფრთხო პროდუქტის არსებობა;
- მწარმოებელი/დისტრიბუტორი ვალდებულია, მომხმარებელს მიაწოდოს აუცილებელი, უტყუარი და სრული ინფორმაცია პროდუქტის შესახებ, რაც მომხმარებელს მისცემს სწორი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას;
- მომხმარებელს პროდუქტის შესახებ უნდა მიეწოდოს შემდეგი ინფორმაცია:
 - პროდუქტის დასახელება და სახე;
 - პროდუქტის დამამზადებლის საფირმო სახელწოდება და მისამართი, იმ ქვეყნის დასახელება, სადაც დამზადებულია პროდუქტი;
 - შესაბამის შემთხვევაში, იმ საქონლის ვარგისობის ვადა (საქონლის გამოყენების ბოლო თარიღი ან დამზადების თარიღი და შენახვის ვადა), რომლის სამომხმარებლო თვისებები უარესდება დროთა განმავლობაში;
 - შესაბამის შემთხვევაში, საქონლის წონა ან/და მოცულობა;
 - შესაბამის შემთხვევაში, პროდუქტის ძირითადი სამომხმარებლო თვისებების ნუსხა;
 - შესაბამის შემთხვევაში, პროდუქტის შედეგიანი და უსაფრთხო გამოყენების წესები და პირობები, აგრეთვე შენახვის სპეციალური პირობები;

- მწარმოებლის/დისტრიბუტორის მიერ დათქმის შემთხვევაში საგარანტიო ვადა ან/და სხვა ვალდებულებები;
- საქონლის ვარგისობის ვადის გასვლის შემდეგ მომხმარებლის მიერ განსახორციელებელი მოქმედებები და მოსალოდნელი შედეგები მათი განუხორციელებლობისას.

ბაზარზე ზედამხედველობის არსებული მდგომარეობა საქართველოში

- სამრეწველო პროდუქტის ბაზარზე ზედამხედველობა საქართველოში 2010 წლის 8 აპრილის „ტექნიკური საფრთხის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამდე წარმართებოდა უპირატესად პროდუქტის ბაზარზე განთავსების ზედამხედველობით და ხორციელდებოდა ნებართვების გაცემითა და სანებართვო პირობების კონტროლით;
- საქართველოში ამჟამად მიმდინარეობს ბაზარზე ზედამხედველობის სისტემის დახვეწის პროცესი და პროდუქტის ბაზარზე განთავსებამდე ზედამხედველობიდან ეტაპობრივად გადადის ბაზარზე განთავსებული პროდუქტის ზედამხედველობაზე;
- ეფექტური ზედამხედველობა გულისხმობს ნორმატიული ბაზის განახლება/სრულყოფასთან ერთად, ბაზარზე განთავსებულ პროდუქტთან დაკავშირებული რისკის ანალიზზე დაყრდნობით, რეაქტიული ზედამხედველობის რეჟიმიდან პროაქტიული ზედამხედველობის რეჟიმზე თანმიმდევრულ გადასვლას;
- ზედამხედველობის დახვეწა-გამართვის პროცესი ორიენტირებულია პროდუქტის უსაფრთხოებაზე ევროკავშირის პრაქტიკისა

და მოთხოვნების შესაბამისად. ზედამხედველობის სისტემური განვითარება მოიცავს ხარისხის ინფრასტრუქტურის კიდევ უფრო განვითარებას, ეფექტური ფუნქციონირების კუთხით – ევროპული სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად, ასევე ევროპული ტექნიკური კანონმდებლობის დანერგვას.

მოქმედი კანონმდებლობა საქართველოში

საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო აქტებით დაცულია მომხმარებელთა უფლებები და მწარმოებელს ეკისრება პასუხისმგებლობა წუნდებული პროდუქტის ბაზარზე განთავსებისათვის. ეს ნორმები თითქმის სრულად შეესაბამება ევროკავშირის დირექტივას „წუნდებული პროდუქტის პასუხისმგებლობის შესახებ“ (Council Directive 85/374/EEC of 25 July 1985 on the approximation of the laws, regulations and administrative provisions of the Member States concerning liability for defective products).

- ყველაზე უპირატესი იურიდიული ძალის მქონე საქართველოს კანონი (საქართველოს კონსტიტუცია), რომელსაც უნდა ექვემდებარებოდეს ყველა სხვა ნორმატიული აქტი, განსაზღვრავს, რომ სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალ მეწარმეობას და კონკურენციის განვითარებას, მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განისაზღვრება წუნდებულ პროდუქტზე მწარმოებლის პასუხისმგებლობა. წუნდებული პროდუქტის მწარმოებელი პასუხს აგებს ამ პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის, მიუხედავად იმისა, იმყოფე-

ბოდა თუ არა იგი სახელშეკრულებო ურთიერთობაში დაზარალებულთან, გარდა იმ შემთხვევისა, როცა:

- მას ეს პროდუქტი არ გაუტანია სარეალიზაციოდ;
 - საქმის გარემოებათაგან გამომდინარე, შეიძლება იმის ვარაუდი, რომ ნაკლი, რომელმაც ზიანი გამოიწვია, პროდუქტს არ ჰქონდა სარეალიზაციოდ გატანისას;
 - მწარმოებელს პროდუქტი არ უწარმოებია არც გასაყიდად ან სხვა კომერციული მიზნით, არც თავისი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში;
 - პროდუქტს აქვს ნაკლი, რომელიც სარეალიზაციოდ მისი გატანისას შეესაბამებოდა იმ დროს მოქმედ ნორმებს, ანდა:
 - შეუძლებელი იყო ნაკლის აღმოჩენა მეცნიერებისა და ტექნიკის იმ დონის გათვალისწინებით, რომელიც არსებობდა სარეალიზაციოდ პროდუქტის გატანის დროს;
- პროდუქტის ნაწილის მწარმოებლის პასუხისმგებლობა, ასევე გამორიცხებულია, თუ ნაკლი გამოწვეულია იმ პროდუქტის კონსტრუქციით, რომლის შემადგენელიც გახდა ეს ნაწილი;
 - მწარმოებლის ზიანის ანაზღაურების მოვალეობა მცირდება ან საერთოდ გამოირიცხება, თუ ზიანის დადგომა გამოიწვია დაზარალებულის ან მის ნაცვლად პასუხისმგებელი პირის ბრალეულმა მოქმედებამ;
 - მწარმოებლის პასუხისმგებლობა არ მცირდება, თუ ზიანი გამოწვეულია პროდუქტის ნაკლით და იმავდროულად მესამე პირის მოქმედებით;
 - სამოქალაქო კოდექსით, ასევე განისაზღვრება წუნდებული პროდუქტის ცნება, ანუ პროდუქტი ითვლება წუნდებულად,

თუ იგი არ უზრუნველყოფს იმ საიმედოობას, რომელიც ყველა გარემოების გათვალისწინებით მოსალოდნელი იყო ამ პროდუქტისაგან;

- პროდუქტი არ მიიჩნევა წუნდებულად მხოლოდ იმის გამო, რომ მოგვიანებით უფრო უკეთესი პროდუქტი იქნა ბრუნვაში შეტანილი;
- ამ კოდექსის მიხედვით პროდუქტად მიიჩნევა ყველა მოძრავი ნივთი, მაშინაც, როცა იგი სხვა მოძრავი ან უძრავი ნივთის ნაწილს შეადგენს, ასევე – ელექტროდენი. მათ არ მიეკუთვნება ჯერ კიდევ გადაუმუშავებელი, მეცხოველეობის, მეფუტკრეობისა და მეთევზეობის, მიწათმოქმედებიდან მიღებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები (ნატურალური სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები). იგივე წესი გამოიყენება ნადირობის შედეგად მიღებული პროდუქტების მიმართ;
- მწარმოებლად ამ კოდექსის მიხედვით მიიჩნევა პირი, ვინც აწარმოა საბოლოო პროდუქტი, ძირითადი ელემენტი ან პროდუქტის ნაწილი. მწარმოებლად ითვლება, ასევე ყველა, ვინც საკუთარი სახელით, სასაქონლო ან სხვაგვარი განმასხვავებელი ნიშნით გამოდის, როგორც მწარმოებელი;
- მწარმოებლად ითვლება, აგრეთვე პირი, რომელსაც პროდუქტი გამოაქვს გაყიდვის, გაქირავების ან სხვა ფორმით, სამეურნეო მიზნებით, თავისი საქმიანი მოღვაწეობის სფეროში, ამ კოდექსით გათვალისწინებული პირობების დაცვით;
- თუ შეუძლებელია მწარმოებლის ვინაობის დადგენა, მაშინ ყოველი მიმწოდებელი მიიჩნევა მწარმოებლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი მოთხოვნიდან ერთი თვის ვადაში დაზარალებულს წარუდგენს მწარმოებლის პიროვნებას ან იმ

პირს, რომელმაც მას ეს პროდუქტი მიაწოდა. ეს წესი გამოიყენება იმპორტირებული საქონლის მიმართაც, როცა შეუძლებელია თავდაპირველი გამსაღებლის ვინაობის დადგენა, მიუხედავად იმისა, რომ მწარმოებლის სახელი ცნობილია;

- წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობისას მტკიცების ტვირთი ეკისრება დაზარალებულს;
- თუ ერთი და იმავე ზიანისთვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება რამდენიმე მწარმოებელს, ისინი პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები;
- წუნდებულ პროდუქტზე მწარმოებლის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ვრცელდება ზიანზე, რომელიც წარმოიშვა სიკვდილით, ან სხეულის ანდა ჯანმრთელობის დაზიანებით;
- მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როცა ზიანის ანაზღაურების უფლების მქონემ გაიგო ან უნდა გაეგო ზიანის, ნაკლის ანდა ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ;
- მოთხოვნის უფლება ქარწყლდება ათი წლის შემდეგ იმ მომენტიდან, როცა მწარმოებელმა ზიანის გამომწვევი პროდუქტი სარეალიზაციოდ გაიტანა;
- მწარმოებლის პასუხისმგებლობა წუნდებული პროდუქტისათვის არ შეიძლება წინასწარ არც გამოირიცხოს და არც შეიზღუდოს. საწინააღმდეგო შეთანხმება ბათილია;
- „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულია იმ სამრეწველო პროდუქტის სია, რომლებიც ხასიათდებიან მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველობით და ექვემდებარებიან ზედამხედველობას ტექნიკური და სამშენებლო ინსპექციის მიერ;

- კანონის მიხედვით ზედამხედველობა ხორციელდება ორი გზით: ნებართვის გაცემითა და შესაბამისი სანებართვო პირობების კონტროლით და მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტების უსაფრთხოების ადგილზე პერიოდული ინსპექტირებით;
- კონტროლისა და ზედამხედველობის ფორმები ვრცელდება ისეთ ობიექტებზე, როგორებიცაა: ლიფტი, ამწე-მოწყობილობა, ატრაქციონი, სამეწარმეო დანიშნულებით გამოყენებადი, ამიაკზე მომუშავე სამაცივრო დანადგარი, ესკალატორი, ფუნიკულიორი, საბაგირო გზა, მაგისტრალური ენერგომატარებლების ინფრასტრუქტურა, კარიერი, მაღარო, შახტი, ბუნებრივი გამოქვაბული, საშიში ნაგავსაყრელი, წნევაზე მომუშავე ჭურჭელი, ჰიდრო-ტექნიკური ნაგებობები და სხვ.;
- კანონში ჩამოყალიბებულია ობიექტების განმარტებები და სამართლებრივი საფუძვლები მათზე გამოვლენილ დარღვევათა კლასიფიცირებისათვის, რათა შესაბამისი სანქციები იყოს თანაზომიერი და ადეკვატური;
- შეუსაბამობები, რომელთაც შეიძლება ადგილი ჰქონდეთ სამრეწველო ობიექტებზე და რომელთა მიხედვითაც განხორციელდება შესაბამისი პასუხისმგებელი პირების სანქციონირება, განეკუთვნებიან კრიტიკულ, არსებით და არაარსებით კატეგორიებს;
 - არაარსებითი შეუსაბამობა არის ისეთი შეუსაბამობა, რომლის გამოსწორება შესაძლებელია ჩვეულებრივი საქმიანობის შეჩერების გარეშე, რომელიც არ უქმნის პირდაპირ საფრთხეს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთ-

რებას ან გარემოს და რომელიც მხედველობაში უნდა მიიღოს ობიექტის მფლობელმა;

- არსებითი შეუსაბამობა განეკუთვნება დარღვევის ისეთ კატეგორიას, რომლის გამოსწორება სავალდებულოა, მაგრამ დაუყოვნებლივ შეუძლებელია და რომელიც მოცემული მომენტისათვის არ წარმოშობს სასიცოცხლო საფრთხეს, თუმცა გარკვეული დროის განმავლობაში მისი გამოსწორებლობა დიდ რისკს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან გარემოს;
- კრიტიკული შეუსაბამობა ისეთი სახის დარღვევაა, რომელიც დიდ რისკს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან გარემოს, რომლის დაუყოვნებლივ გამოსწორება სავალდებულოა და რომლის გამოსასწორებლად შეიძლება შეჩერდეს ობიექტის ექსპლუატაცია;
- კრიტიკული შეუსაბამობის შემთხვევაში ტექნიკური და სამშენებლო ინსპექცია ობიექტს შეიტანს შემოწმების გეგმაში (რომელიც შემუშავდება რამდენიმე ობიექტზე კრიტიკული შეუსაბამობების აღმოჩენის შემთხვევაში, შეუსაბამობის გამოსწორებამდე) და შემდგომში აკონტროლებს, რომ არ მოხდეს გაჩერებული ობიექტის ექსპლუატაცია;
- კანონი განსაზღვრავს ობიექტის მფლობელის უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებულ უფლება-მოვალეობებსა და სამრეწველო პროდუქტების უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

საქართველოს კოდექსის პროექტი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ“

- „სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის სფეროში საკანონმდებლო რეფორმის და ტექნიკური რეგლამენტების მიღების სამთავრობო პროგრამის“ შესაბამისად, „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონი გახდება „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ“ საქართველოს კოდექსის ნაწილი, რომელიც ერთიან ნორმატიულ აქტში, ასევე გააერთიანებს ხარისხის ინფრასტრუქტურის შემადგენელი ყველა ელემენტის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს. კოდექსი კიდევ უფრო აახლოებს საქართველოს კანონმდებლობას ევროკავშირის შესაბამის მარეგულირებელ აქტებთან. კოდექსის პროექტი მომზადებულია და წარდგენილია საქართველოს პარლამენტში განსახილველად;
- კოდექსის მიზნებია:
 - ბაზარზე უსაფრთხო პროდუქტის დაუბრკოლებელი განთავსება და თავისუფალი მიმოქცევა;
 - პროდუქტის გადაადგილების და ბაზარზე განთავსების პროცესში კონკურენციის უზრუნველყოფა და ხელშეწყობა;
 - მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ექსპლუატაციის წესებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის გზით;
 - რისკის ანალიზსა და შეფასებაზე დამყარებული ინსპექტირების სისტემის დანერგვა;

- მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ტექნიკური ინსპექტირების სისტემის ჩამოყალიბება და ინსპექტირების ორგანოების საქმიანობისათვის სამართლებრივი ბაზის შექმნა;
- ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოსა და აკრედიტებული ინსპექტირების ორგანოების უფლებამოსილებათა გამიჯვნა მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ექსპლუატაციისა და კონტროლის სფეროში;
- სტანდარტიზაციის, მეტროლოგიის, აკრედიტაციის და შესაბამისობის შეფასების სფეროში საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება;
- კოდექსის პროექტში ჩამოყალიბებულია ობიექტის დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობების უფრო დეტალური კლასიფიკაცია, კერძოდ:
 - პროექტის მიხედვით I ხარისხის არსებითი შეუსაბამობა არის ისეთი შეუსაბამობა, რომლის გამოსწორება სავალდებულოა, მაგრამ დაუყოვნებლივ შეუძლებელია და რომელიც მოცემული მომენტისათვის არ წარმოშობს სასიცოცხლო საფრთხეს, თუმცა მომავალში მისი გამოუსწორებლობა მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის დარღვევის მქონე ობიექტთან უშუალოდ დაკავშირებული ადამიანის/ადამიანების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან გარემოს;
 - II ხარისხის არსებითი შეუსაბამობა არის ისეთი შეუსაბამობა, რომლის გამოსწორება სავალდებულოა, მაგრამ

დაუყოვნებლივ შეუძლებელია და რომელიც მოცემული მომენტისათვის არ წარმოშობს სასიცოცხლო საფრთხეს, თუმცა, მომავალში მისი გამოუსწორებლობა მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის დარღვევის მქონე ობიექტთან უშუალოდ დაკავშირებული ადამიანის/ადამიანების და მესამე პირის/პირების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან გარემოს;

- I ხარისხის კრიტიკული შეუსაბამობა არის ისეთი შეუსაბამობა, რომელიც მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის დარღვევის მქონე ობიექტთან უშუალოდ დაკავშირებული ადამიანის/ადამიანების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან გარემოს და რომლის დაუყოვნებლივ გამოსწორება სავალდებულოა;
- II ხარისხის კრიტიკული შეუსაბამობა არის ისეთი შეუსაბამობა, რომელიც მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის დარღვევის მქონე ობიექტთან უშუალოდ დაკავშირებული ადამიანის/ადამიანების და მესამე პირის/პირების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან გარემოს და რომლის დაუყოვნებლივ გამოსწორება სავალდებულოა.

ევროკავშირის ახალი მიდგომის დირექტივებთან დაახლოება

- საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 აგვისტოს №1140 განკარგულებით დამტკიცებული „სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის სფეროში საკანონმდებლო რეფორმის და ტექნიკური რეგლამენტების მიღების სამთავრობო პროგ-

რამის“ შესაბამისად, საქართველომ აიღო ვალდებულება ევროკავშირის ახალი მიდგომის დირექტივებთან საქართველოს ტექნიკური კანონმდებლობის თანმიმდევრულ დაახლოებაზე (ცხრილი №1);

- მომზადებულ იქნა ორი ტექნიკური რეგლამენტის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს შესაბამის სფეროებში რეგულირების დაახლოებას ევროკავშირის ახალი მიდგომის შესაბამის დირექტივებთან;
- მთავრობის დადგენილებებით მიღებულ იქნა შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტები:
 - „ლიფტის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 26 ივლისის №289 დადგენილება;
 - „ადამიანების გადასაყვანად განკუთვნილი საბაგირო მოწყობილობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 15 აგვისტოს №320 დადგენილება;
- აღნიშნული დადგენილებები, შესაბამისად შემუშავდა შემდეგ დირექტივებთან დაახლოების შედეგად:
 -
 -
- მომზადების პროცესშია ტექნიკური რეგლამენტი არსებული ლიფტებისათვის, რომელიც ეყრდნობა ევროპულ სტანდარტს

¹ლიფტების დირექტივა 95/16/EC

²სამგზავრო საბაგირო გზების დირექტივა 2000/9/EC

81-80 „

80³.

ცხრილი №1

№	დირექტივის დასახელება და ნომერი
1	ადამიანთა გადასაცემად გამიზნული საბაგირო მოწყობილობები 2000/9/EC
2	ლიფტები 95/16/EC
3	წნევის ქვეშ მომუშავე მოწყობილობები 97/23/EC
4	მარგი ქმედების მოთხოვნები თხევადი ან გაზის საწვავზე მომუშავე ცხელი წყლის ახალი ბოილერებისათვის 92/42/EEC
5	ჩვეულებრივი წნევის ჰურჭელი 87/404/EEC
6	რეკრეაციული მოწყობილობები 94/25/EC
7	სამოქალაქო დანიშნულების ფეთქებადი მასალები 93/15/EEC
8	ფეთქებად ატმოსფეროში გამოსაყენებელი მოწყობილობები (ATEX) 94/9/EC
9	რადიოტექნიკის მოწყობილობები და ტელეკომუნიკაციების ტერმინალის მოწყობილობები და მათი შესაბამისობის შეფასების ურთიერთადიარება 1999/5/EC
10	ელექტრომაგნიტური თავსებადობა (EMC) 2004/108/EC
11	დაბალი ძაბვა 2006/95/EC
12	სამედიცინო მოწყობილობები 93/42/EEC
13	ინ-ვიტრო დიაგნოსტიკური სამედიცინო მოწყობილობები 98/79/EC
14	აქტიურად იმპლანტირებადი სამედიცინო მოწყობილობები 90/385/EEC
15	აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობები 90/396/EEC
16	პერსონალური დაცვის აღჭურვილობა (PPE) 89/686/EEC
17	მოწყობილობა/მექანიზმები 98/37/EC
18	სათამაშოების უსაფრთხოება 88/378/EEC
19	სამშენებლო მასალები 89/106/EEC
20	არაავტომატური საწონი ინსტრუმენტები 90/384/EEC
21	გამზომი ინსტრუმენტები 2004/22/EC

³EN 81-80: უსაფრთხოების წესები არსებულ სამგზავრო და სატვირთო-სამგზავრო ლიფტების უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად, ნაწილი 80.

ტექნიკური რეგლამენტი ლიფტის უსაფრთხოების შესახებ

- ლიფტების დირექტივა საფუძველზე მიღებულ იქნა „ლიფტის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 26 ივლისის №289 დადგენილება;
- „ლიფტის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკურ რეგლამენტში“ ჩამოყალიბებულია:
 - ძირითადი უსაფრთხოების მოთხოვნები ლიფტებისადმი და მათში გამოსაყენებელი კომპონენტებისადმი;
 - დადგენილ უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის სავალდებულო მოდულები;
- არსებული ლიფტების („ლიფტის უსაფრთხოების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცებამდე ექსპლუატაციაში გაშვებული ლიფტები) უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გატარდა შესაბამისი მოსამზადებელი სამუშაოები, არსებული ლიფტების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის პროექტის შესამუშავებლად;
- ითარგმნა სტანდარტი „

— —

“

და მომზადდა ტექნიკური რეგლამენტის პროექტი.

⁴სტანდარტი 81-80 ლიფტის აგებისა და დამონტაჟების უსაფრთხოების წესები – არსებული ლიფტები – ნაწილი 80: არსებულ სამგზავრო და სატვირთო-სამგზავრო ლიფტებზე უსაფრთხოების გაუმჯობესების წესები.

ტექნიკური რეგლამენტი ადამიანების გადასაყვანად განკუთვნილი საბაგირო მოწყობილობების შესახებ

- ევროდირექტივა

საფუძველზე მიღებულ იქნა „ადამიანების გადასაყვანად განკუთვნილი საბაგირო მოწყობილობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 15 აგვისტოს №320 დადგენილება;

- ტექნიკური რეგლამენტი აყალიბებს:

- ძირითად უსაფრთხოების მოთხოვნებს საბაგირო გზებისადმი და მათში გამოსაყენებელი კომპონენტებისადმი;
- დადგენილ უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის სავალდებულო მოდულებს.

ობიექტების ბაზარზე ზედამხედველობის მოქმედი წესები

- გარდა ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტებისა, ინსპექცია ხელმძღვანელობს შემდეგი დარგობრივი წესებით:
 - „წინევაზე მომუშავე ჭურჭლების მოწყობისა და უსაფრთხო ექსპლუატაციის წესები“;
 - „დახრილი სარელსო-საბაგირო საწვევლების (ფუნისულიორების) მოწყობისა და ექსპლუატაციის წესები“;

⁵სამგზავრო საბაგირო გზების დირექტივა 2000/9/EC

- „ტვირთასაწვევი ამწეების მოწყობისა და უსაფრთხო ექსპლუატაციის წესები“;
- „სამგზავრო კიდული ბაგირგზების მოწყობისა და უსაფრთხო ექსპლუატაციის წესები“;
- „ესკალატორების მოწყობისა და უსაფრთხო ექსპლუატაციის წესები“;
- „ატრაქციონების უსაფრთხოების წესები“;
- „მადნეული, არამადნეული და ქვიშობრივი საბადოების მიწისქვეშა წესით დამუშავების უსაფრთხოების ერთიანი წესები“;
- „სახალხო მეურნეობის მიწის წიაღში განთავსებული მშენებარე (რეკონსტრუქციაში მყოფი) სამთო-ტექნიკური ობიექტების უსაფრთხოების დარგობრივი წესები, რაც არ არის დაკავშირებული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან“;
- „ნახშირის შახტების უსაფრთხოების წესები“;
- „საამფეთქებლო სამუშაოების უსაფრთხოების წესები“;
- „კარიერის უსაფრთხოების წესები“;
- „ნავთობის ბაზების უსაფრთხოების წესები“;
- „ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების წესები“;
- „გაზის სისტემების ზოგადი მოთხოვნები“ – და სხვა წესებით.

არსებული ინსტიტუციონალური მდგომარეობა


- „სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის სფეროში საკანონმდებლო რეფორმის და ტექნიკური რეგლამენტების მიღების სამთავრობო პროგრამით“ გათვალისწინებული ინსტიტუციური რეფორმის ქვეპროგრამის მიზნების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებული პროდუქტების ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოდ განისაზღვრა ტექნიკური და სამშენებლო ინსპექცია;
- ტექნიკური და სამშენებლო ინსპექცია შეიქმნა „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე 2011 წლის 1 იანვარს, სსიპ – საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – მთავარი არქიტექტურულ-სამშენებლო ინსპექციისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ურბანიზაციისა და მშენებლობის დეპარტამენტის განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების ნებართვების სამმართველოს ბაზაზე;
- ინსტიტუციონალური რეფორმის მიზანია, შექმნას ფუნდამენტური ბაზა ბაზარზე ზედამხედველობის ეფექტიანი ორგანოს ჩამოსაყალიბებლად, რომელიც ეტაპობრივად შეიძენს საკმარის უფლებამოსილებასა და ადმინისტრაციულ რესურსს ბაზარზე სამრეწველო პროდუქტების ეფექტიანი ზედამხედველობისთვის;
- ტექნიკური და სამშენებლო ინსპექციის დებულება დამტკიცდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 23 დეკემბრის №1-1/2031 ბრძანებით „საქარ-

თველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – ტექნიკური და სამშენებლო ინსპექციის დებულების დამტკიცების თაობაზე“, აღნიშნული ბრძანება ამოქმედდა 2011 წლის 1 იანვრიდან;

- ინსპექცია ახორციელებს შემდეგ ძირითად ფუნქციებს:
 - საზედამხედველო ობიექტის რეგისტრაციის განხორციელება უწყებრივ რეესტრში;
 - საზედამხედველო ობიექტების კონტროლი;
 - საზედამხედველო ობიექტის სავალდებულო ინსპექტირება აკრედიტებული ინსპექტირების ორგანოს მეშვეობით;
 - ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება დამრღვევებისთვის;
 - ობიექტის ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების ოქმების დოკუმენტური კონტროლი ტექნიკური ინსპექტირების ოქმებისა და ინსპექტირების ორგანოების ანგარიშების ანალიზის მეშვეობით;
 - მითითებების გაცემა ან/და გონივრული ვადის მიცემა შეუსაბამობის გამოსწორებისათვის;
 - პერსონალის გადამზადება, სწავლება, ამ მიზნით ტრენინგებისა და კურსების ჩატარება;
- ინსპექციას ხელმძღვანელობს ინსპექციის უფროსი, რომელსაც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი;

- ინსპექცია თავის საქმიანობას ახორციელებს ორი მიმართულებით, სამრეწველო ობიექტების სახელმწიფო ზედამხედველობა და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის ზედამხედველობა;
- ტექნიკურ და სამშენებლო ინსპექციაში საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ დასაქმებულთა რიცხვია 48, ხოლო ამ ეტაპზე ინსპექციაში დასაქმებულია 42 ადამიანი;
- სამრეწველო პროდუქტების ბაზარზე ზედამხედველობის კუთხით დასაქმებულია 15 ადამიანი;
- ტექნიკური კუთხით დასაქმებულთა საშუალო ასაკი შეადგენს 43 წელს, ხოლო საშუალო სამუშაო გამოცდილება – 16 წელს;
- ინსპექციას ჰყავს კვალიფიციური კადრები, რომელთაც აქვთ შესაბამის სფეროში მიღებული უმაღლესი განათლება და მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება, თუმცა კადრები საჭიროებენ დამატებით ტრენინგებს, ბაზარზე ზედამხედველობის დახვეწის მიზნით;
- აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციული სტრუქტურა უნდა გადაიხედოს ახალი მიდგომის დირექტივებთან დაახლოების შემდგომ ეტაპზე, მას შემდეგ, რაც მოხდება საზედამხედველო არეალის გაფართოება.

ტექნიკური და სამშენებლო ინსპექციის სტრუქტურა



ინსტიტუციური და საკანონმდებლო რეფორმა

- „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ“ საქართველოს კოდექსის პროექტი ითვალისწინებს ტექნიკური და სამშენებლო ინსპექციის გარდაქმნას ტექნიკურ და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოდ. აღნიშნული გარდაქმნა, ასევე გათვალისწინებულია საქართველოს საკანონმდებლო რეფორმის და ტექნიკური რეგლამენტების მიღების სამთავრობო პროგრამით;
- სააგენტო იქნება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ტექნიკური და სამშენებლო ინსპექციის სამართალმემკვიდრე და განახორციელებს კანონ-

მდებლობით გათვალისწინებულ სამრეწველო პროდუქტებზე სახელმწიფო კონტროლსა და ბაზარზე ზედამხედველობას.

ინსტიტუციური და საკანონმდებლო რეფორმის

სახელმძღვანელო პრინციპები

- უფლებამოსილ ორგანოს უნდა გააჩნდეს კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილება, რათა საჭირო ოპერატიულობით იმოქმედოს და გაატაროს შესაბამისი ზომები იმ შემთხვევაში, თუ პროდუქტი შეიცავს სერიოზულ რისკს;
- უფლებამოსილმა ორგანომ უნდა მიმართოს ყველა აუცილებელ ზომას პროდუქტებთან დაკავშირებული რისკების თავიდან ასაცილებლად, რომლებიც შესაბამის შემთხვევებში მიმართული უნდა იყოს:
 - მწარმოებლისკენ;
 - დისტრიბუტორისკენ და იმ პირისკენ, რომელიც პასუხისმგებელია პროდუქტის ბაზარზე პირველად განთავსებაზე;
- ბაზარზე ეფექტური ზედამხედველობა, რომელიც მიმართულია მომხმარებელთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მაღალი დონის უზრუნველყოფისაკენ, უნდა მოიცავდეს:
 - ზედამხედველობის პროგრამების შექმნას პროდუქტის კატეგორიების ან/და რისკების მიხედვით და მათ პერიოდულ განახლებას;
 - საზედამხედველო საქმიანობის, მიღებული მონაცემებისა და შედეგების მონიტორინგს;

- პროდუქციის უსაფრთხოების სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის გაღრმავებასა და განახლებას;
 - პროდუქტზე განხორციელებული შესაბამისობის შეფასების შედეგების გადამოწმებას უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკის არსებობის შემთხვევაში;
 - საზედამხედველო საქმიანობის ეფექტურობის პერიოდულ შეფასებას და, საჭიროების შემთხვევაში, ზედამხედველობის მეთოდების ეფექტურობის გადასინჯვას;
- უფლებამოსილმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს, რომ მომხმარებლებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს ჰქონდეთ პროდუქტების უსაფრთხოების, ზედამხედველობისა და კონტროლის საკითხებთან დაკავშირებული საჩივრების წარდგენის შესაძლებლობა;
 - უფლებამოსილმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს საჩივრებზე შესაბამისი რეაგირების მოხდენა.

ინსტიტუციური და საკანონმდებლო რეფორმის

გრძელვადიანი მიზნები და ამოცანები

- სამრეწველო პროდუქტის ბაზარზე ზედამხედველობის გაუმჯობესების მიზნით გასატარებელი ღონისძიებებია:
 - პროაქტიული და რეაქტიული ზედამხედველობის დანერგვა;
 - ბაზარზე ზედამხედველობის ღონისძიებების განხორციელების სტანდარტული პროცედურების დანერგვა;

- ბაზარზე ზედამხედველობის წლიური გეგმების შედგენა;
 - ბაზარზე ინსპექტირებისთვის საკონტროლო კითხვარების მომზადება;
 - საინსპექციო კონტროლის, შემოწმების პროცედურისა და ნიმუშის აღების პროცედურის განსაზღვრა;
 - პროდუქტის შეუსაბამობისას გასატარებელი ზომების შემუშავების პროცედურის განსაზღვრა;
 - ბაზარზე ზედამხედველობის სისტემაში ინფორმაციის მიღებისა და საჯარო ინფორმაციის გაცემის პროცედურის განსაზღვრა;
 - სამრეწველო პროდუქტის ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოსა და აკრედიტებულ საინსპექციო ორგანოებს შორის ინფორმაციის გაცემის პროცედურის განსაზღვრა;
 - შესაბამისობის შეფასების პროცედურებისა და ბაზარზე ზედამხედველობის ფუნქციების ინსტიტუციური გამიჯვნა;
 - საერთაშორისო და რეგიონული თანამშრომლობის გაუმჯობესება;
- ამ მიზნების განხორციელების მხარდასაჭერად საჭიროა ტექნიკური დახმარება რიგ სფეროებში.

ბაზარზე ზედამხედველობის პროაქტიული და რეაქტიული

სისტემის დანერგვა

რეაქტიული ზედამხედველობა

ამჟამად ტექნიკური უსაფრთხოების სფეროში, საქართველოში ძირითადად მოქმედებს ბაზარზე ზედამხედველობის რეაქტიული სისტემა.

- ამ ეტაპზე ინსპექტირება და შემდგომი რეაგირება ხორციელდება არა გეგმურად, არამედ საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში შესაძლო საფრთხის შესახებ ინფორმაციის მიღების საფუძველზე; ფორსმაჟორის შემთხვევაში; ავარიის შემთხვევაში ან უბედური შემთხვევის დროს, რომელსაც მოჰყვა ადამიანის ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი დაზიანება ან ლეტალური შედეგი;
- ინფორმაციის მიღების შემდეგ, ზედამხედველობის ორგანო ახდენს ინფორმაციის გადამოწმებას და რისკის ანალიზის საფუძველზე ახორციელებს ინსპექტირებას ობიექტის დისლოკაციის ადგილზე;
- ინსპექტირების ჩატარების შემდგომ, საჭიროების შემთხვევაში, ხდება შესაბამისი ზომის მიღება უფლებამოსილი ორგანოს მიერ, რაც მოიცავს მითითების გაცემას, დაჯარიმებას, მფლობელისათვის გონივრული ვადის განსაზღვრას შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად, რათა ობიექტმა მიაღწიოს უსაფრთხოების შესაბამის დონეს.

ბაზარზე პროაქტიული ზედამხედველობა

- ბაზარზე პროაქტიული ზედამხედველობა დაფუძნებულია დაგეგმილ დონისძიებებზე (მოკლე და გრძელვადიან ზედამხედველობის გეგმებზე);

- ბაზარზე ზედამხედველობის გეგმას უფლებამოსილი ორგანო ადგენს ინფორმაციის მყისიერი გაცვლის სისტემით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მომხმარებელთა საჩივრებზე, დაზიანებებისა და უბედური შემთხვევების შესახებ ანგარიშებზე, სხვა ქვეყნებიდან მოპოვებულ ინფორმაციაზე ბაზარზე ზედამხედველობის კუთხით, წინა წლის ინსპექტირების შედეგებზე და სხვა;
- პროაქტიული ინსპექტირების ერთ-ერთ ინსტრუმენტს წარმოადგენს მომავალი ინსპექტირებების გეგმა. ინსპექტირებების გეგმის ფარგლებში ჩამოყალიბდება სამომავლოდ შესამოწმებელი ობიექტების ნუსხა, რომელშიც ობიექტის მოხვედრასა და ინსპექტირების სიხშირეს განსაზღვრავს რამდენიმე ფაქტორი:
 - წარსულის გამოცდილება, რომელიც მოიცავს ობიექტებზე გამოვლენილი დარღვევებისა და ავარიების შესახებ ინფორმაციის ანალიზს, რომელიც ეფუძნება წლის განმავლობაში, ერთი და იგივე ტიპის ობიექტებზე გამოვლენილ დარღვევებს ან ხშირად განმეორებად ავარიებს. ასეთი ტიპის ობიექტები ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს მიერ შეიტანება პერიოდული ინსპექტირების გეგმაში;
 - შესამოწმებელი ობიექტის ხასიათი, ამ კრიტერიუმის მიხედვით შემოწმების გეგმაში შეიტანება ის ობიექტები, რომლებზეც ავარიამ მათი ტექნიკური სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება გამოიწვიოს მასშტაბური ზიანი ადამიანების ჯანმრთელობის ან სიცოცხლის, ასევე განსაკუთრებული მატერიალური ზიანი, ან მიაყენოს განსაკუთრებულად დიდი ზიანი გარემოს;

- ზედამხედველობის ფარგლებში გასატარებელი, ადგილზე შემოწმების პროცედურები შეიძლება მოიცავდეს დოკუმენტურ კონტროლს, ნიმუშის აღებასა და ლაბორატორიულ კვლევას. ამის შემდეგ რისკის შეფასება ხორციელდება ჩატარებული ინსპექტირებების შედეგების საფუძველზე და მიიღება შესაბამისი ზომები.

პროდუქტის შემოწმება და ზომების მიღება

ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოები საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფენ ბაზარზე განთავსებული პროდუქტის ზედამხედველობას და, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო ზომების მიღებას.

- ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოები კონკრეტული ღონისძიებების გატარებისას უნდა მოქმედებდნენ მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვით და რისკის ხარისხის გათვალისწინებით;
- ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს შეუძლია, ხელშეკრულების საფუძველზე პროფესიული ექსპერტიზის ჩასატარებლად მიმართოს აკრედიტებულ შესაბამისობის შემფასებელ ორგანოს;
- თუ შემოწმების შედეგად პროდუქტი შეიცავს უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რისკებს, ინსპექტირების პროცედურების ხარჯების გაწევა, შესამოწმებელი ნიმუშების ღირებულების ჩათვლით, ეკისრება მწარმოებელს ან დისტრიბუტორს, შესაბამისად, მწარმოებლის ან დისტრიბუტორის ბრალის გათვალისწინებით;
- ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს უფლება აქვს, რომ ბაზარზე განთავსებული სახიფათო პროდუქციის შემთხვევაში

უზრუნველყოს მომხმარებლებისაგან მისი ამოღება და განადგურება მწარმოებელთან ან/და დისტრიბუტორთან კოორდინაციით, ხოლო ამის შეუძლებლობის შემთხვევაში – დამოუკიდებლად;

- ობიექტისათვის ექსპლუატაციის შეჩერება და/ან ბაზრიდან ამოღება ხორციელდება უკიდურესი შეუსაბამობის დროს, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრების ან გარემოს მნიშვნელოვანი დაზიანება. ასეთ შემთხვევაში ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს ობიექტი შეაქვს სამომავლო შემოწმების გეგმაში, რათა უზრუნველყოს არსებული ვითარების კონტროლი და არ იქნეს დაშვებული ობიექტის ფარული ექსპლუატაცია ან ბაზარზე განთავსება;
- ნებისმიერი ზომა, რომელიც მიღებულ იქნა ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს მიერ და მოიცავს შეხლუდვების დაწესებას პროდუქტის ბაზარზე განთავსებისათვის, ან მოითხოვს მის ამოღებას ან გამოთხოვას, უნდა შეიცავდეს შესაბამის ახსნა-განმარტებებს, თუ რატომ იქნა ეს ზომები მიღებული. აღნიშნულის შესახებ უმოკლეს ვადაში უნდა ეცნობოთ დაინტერესებულ მხარეებს;
- ინფორმაცია მომხმარებელთა უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობაზე არსებული რისკების შესახებ უნდა იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მონიტორინგისა და გამოძიების მიზნებისათვის დაწესებულია რიგი შეხლუდვები, კერძოდ, საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს პროდუქტის იდენტიფიკაციასთან, არსებულ რისკებსა და მიღებულ ზომებთან დაკავშირებული ინფორმაცია;

- ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო აღჭურვილი უნდა იყოს შემდეგი ძირითადი უფლებებით:
- სამრეწველო პროდუქტთან დაკავშირებით კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში:
 - განახორციელოს ბაზარზე განთავსებული უსაფრთხო პროდუქტის შემოწმება და ამ მიზნით აიღოს მისი ნიმუშები უსაფრთხოების პარამეტრების შემოწმების მიზნით;
 - მწარმოებელს ან დისტრიბუტორს მოსთხოვოს აუცილებელი ინფორმაცია;
- ნებისმიერი პროდუქტის შემთხვევაში, რომლის განსაზღვრულ პირობებში გამოყენება უკავშირდება რისკს:
 - მოითხოვოს რისკის თაობაზე შესაბამისი, ნათლად ჩამოყალიბებული გაფრთხილების პროდუქტზე დატანა;
 - მოითხოვოს პროდუქტის რეალიზაციისათვის შესაბამისი პირობების შექმნა მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით;
- ნებისმიერი პროდუქტის შემთხვევაში, რომელიც შეიცავს საფრთხეს პირთა განსაზღვრული წრისათვის, მოითხოვოს ამ პირთა გაფრთხილება გონივრულ ვადაში და სათანადო ფორმით, მათ შორის, აუცილებლობის შემთხვევაში, რისკის შესახებ ინფორმაციის საჯაროდ გავრცელების გამოყენებით;
- ნებისმიერი პროდუქტის შემთხვევაში, რომელიც შეიძლება სახიფათო იყოს, შესამოწმებლად საჭირო პერიოდის განმავლობაში დროებით შეზღუდოს ხელმისაწვდომობა;

- ნებისმიერი სახიფათო პროდუქტის შემთხვევაში, აკრძალოს მისი ხელმისაწვდომობა ბაზარზე და განახორციელოს დამატებითი ღონისძიებები აკრძალვის გასაკონტროლებლად;
- ბაზარზე განთავსებული სახიფათო პროდუქტის შემთხვევაში:
 - გამოსცეს ბაზრიდან მისი ამოღების აქტი და ორგანიზება გაუწიოს მის დაუყოვნებლივ შესრულებას; გაავრცელოს ინფორმაცია რისკის თაობაზე;
 - უზრუნველყოს მომხმარებლებისაგან მისი ამოღება და განადგურება მწარმოებელთან ან/და დისტრიბუტორთან კოორდინაციით, ხოლო ამის შეუძლებლობის შემთხვევაში – დამოუკიდებლად.

ბაზარზე ზედამხედველობის სისტემის დაგეგმვა

- ბაზარზე ზედამხედველობა იგეგმება რისკის ანალიზსა და შეფასების სისტემის საფუძველზე;
- საქართველოს კანონმდებლობა ადგენს პროდუქტის რისკის კატეგორიებს და განსაზღვრავს ზედამხედველობის ფორმებსა და პერიოდულობას;
- დადგენილი პერიოდულობის გარდა ბაზარზე ზედამხედველობა განხორციელდება:
 - საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში, შესაძლო საფრთხის შესახებ შეტყობინების საფუძველზე, ორგანოლექტიკური შეგროვნებების საფუძველზე;
 - ფორს-მაჟორული სიტუაციების შემთხვევაში;
 - ავარიის შემთხვევაში;

- უბედური შემთხვევის დროს, რომელსაც მოჰყვა ადამიანის ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი დაზიანება ან გარდაცვალება;
- სათანადო სანებართვო პირობების შესრულების შემოწმებისას;
- ბაზარზე ზედამხედველობაზე პასუხისმგებელმა ორგანომ პროდუქტის მახასიათებლების შემოწმებისას უნდა გაითვალისწინოს, რომ ცალკეულ შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობა მწარმოებლისაგან არ მოითხოვს აკრედიტებული შესაბამისობის შემფასებელი ორგანოს ან/და სხვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ შესაბამისობის ოქმს ან სერტიფიკატის ფლობას;
- სხვადასხვა სამიზნე პროდუქტის ჯგუფებთან მიმართებით შეიქმნება განსხვავებული ბაზარზე ზედამხედველობის გეგმა;
- ბაზარზე ზედამხედველობის შესაბამისად მიღებული შედეგები გაანალიზდება და მომზადდება ანგარიში;
- ბაზარზე ზედამხედველობის სამუშაოების გაუმჯობესების მიზნით ინდივიდუალური ინსპექტირების ანგარიშები აისახება საბოლოო ანგარიშში.

ნიშანდების ზოგადი პრინციპები

- ნიშანდება შესაძლებელია დატანილი იქნეს პროდუქტზე მხოლოდ მწარმოებლის ან მის მიერ დანიშნული წარმომადგენლის მიერ;

- ნიშანდება შესაძლებელია დატანილ იქნეს მხოლოდ იმ პროდუქტზე, რომლის ნიშანდებაც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით და არა სხვა პროდუქტზე;
- ნიშანდების დატანით მწარმოებელი ადასტურებს, რომ ის იღებს ვალდებულებას, რომ მისი პროდუქტი აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შესაბამის მოთხოვნებს;
- ნიშანდების დარღვევის შემთხვევაში, კანონმდებლობით დაწესდება სათანადო ჯარიმები, რომელიც უნდა მოიცავდეს შესაბამის სანქციებს. სანქციები უნდა იყოს დარღვევის პროპორციული და უნდა იყოს ქმედითი საშუალება ნიშანდების არასწორად გამოყენების წინააღმდეგ.

ბაზრის ზედამხედველობა

ბაზარზე ზედამხედველობა ხორციელდება ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო(ებ)ის მიერ ბაზარზე განთავსებული პროდუქტის კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

- ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო, აკრედიტებულ ინსპექტირების ორგანოსთან კონსულტაციით ადგენს საინსპექციო კონტროლის პროცედურას ბაზრის ზედამხედველობის განხორციელების მიზნით და მიმართავს შემდეგ პროცედურებს:
 - დოკუმენტური კონტროლი;
 - პროდუქტის ვიზუალური და ფიზიკური შემოწმება;
 - პროდუქტის ლაბორატორიული გამოცდა.

საკონტროლო კითხვარის მოსამზადებელი პროცედურის შექმნა

- ბაზრის ზედამხედველობის საქმიანობაში გამოსაყენებელი საკონტროლო კითხვარის ფორმას, პროდუქტთა ჯგუფების მიხედვით, ადგენს ბაზრის ზედამხედველობის სახელმწიფო ორგანო;
- საკონტროლო კითხვარი მოიცავს ინფორმაციას, პროდუქტის ტექნიკურ რეგლამენტებთან შესაბამისობის თაობაზე.

ნიმუშის აღების პროცედურები

- პროდუქტის ნიმუშის აღების პროცედურები დგინდება საქართველოს კანონმდებლობით, რომელიც შეიცავს შემდეგ ინფორმაციას:
 - ნიმუშის აღების ადგილის შესახებ (საცალო გამყიდველები, ბითუმად მოვაჭრეები თუ იმპორტიორები);
 - ნიმუშის აღების ობიექტის შესახებ (პროდუქტი, დოკუმენტაცია, ორივე);
 - რამდენი პუნქტი უნდა იქნეს აღებული თითოეულ ნიმუშზე (ზოგადად სამი, მაგრამ ზოგი პროდუქტი მოითხოვს მეტს);
 - ნიმუშის შეფუთვისა და ტრანსპორტირების შესახებ შესაბამის შემთხვევებში (მაგ: ისეთი პროდუქტები, როგორცაა შუშხუნები ან გაზის ხელსაწყოები (აირადი პროდუქტები), მოითხოვენ მკაცრ შეფუთვის და ტრანსპორტირების წესების დაცვას);
- ბაზრის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელმა ორგანოებმა უნდა განახორციელონ პროდუქტის შესაბამისი შემოწმება დოკუმენტური შემოწმების ან ინსპექტირების გზით და, კანონმდე-

ბლობით განსაზღვრულ შემთხვევებში, სადავო ნიმუშის ლაბორატორიული შემოწმება. მათ უნდა გაითვალისწინონ, რომ დანერგონ რისკების შეფასებისა და საჩივრების მართვის პროცედურები;

- ბაზრის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ ორგანოებს შეუძლიათ მოითხოვონ მწარმოებლისაგან თავიანთი საქმიანობის ჩასატარებლად საჭირო დოკუმენტაციისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლიათ აიღონ პროდუქტის საჭირო ნიმუში;
- კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევაში ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს შეუძლია მაღალი რისკების შემცველი პროდუქტის ამოღება. ბაზრის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები მხედველობაში მიიღებენ მწარმოებლის მიერ წარმოდგენილი აკრედიტებული შესაბამისობის შემფასებელი ორგანოს ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ ოქმებსა და სერტიფიკატებს;
- ბაზრის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი ორგანოები მათი საქმიანობის შესაბამისად თანამშრომლობენ მწარმოებლებთან, რისკების პრევენციისა და შემცირების მიზნით;
- იმ შემთხვევებში, როცა ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოები ამოიღებენ ბაზრიდან პროდუქტს, რომელიც წარმოებულია სხვა ქვეყანაში, შესაძლებლობის შემთხვევაში ამის შესახებ უნდა აცნობონ ამოღებული პროდუქტის მწარმოებელს;
- ბაზარზე ზედამხედველობის ორგანომ საჭიროების შემთხვევაში უნდა დაიცვას კონფიდენციალურობა, რათა უზრუნველყოფილი იქნეს კანონმდებლობით განსაზღვრული კომერციული საიდუმლო და პერსონალური მონაცემები, უკიდურესი საჭიროების

შემთხვევაში, საზოგადოების უსაფრთხოების დასაცავად ინფორმაცია შესაძლებელია გახდეს საჯარო, კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

დოკუმენტური შემოწმების პროცედურები

- ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო ახორციელებს დოკუმენტურ კონტროლს;
- დოკუმენტური კონტროლის მიზანია დაადგინოს, არის თუ არა ყველა საჭირო დოკუმენტი ხელმისაწვდომი და შეესაბამებიან თუ არა ისინი შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნებს;
- დოკუმენტური კონტროლის პროცესი შეიძლება მოიცავდეს შესაბამისობის დეკლარაციის, გამოყენებული ინსტრუქციების, გამოცდის ოქმების, ტექნიკური დოკუმენტაციისა და სხვა დოკუმენტების შემოწმებას.

პროდუქტის ვიზუალური და ფიზიკური შემოწმების

პროცედურები

- ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო შეიმუშავებს პროდუქტის შესაბამისობის შემოწმების წესს, რომლის მიზანია განხორციელდეს პროდუქტის რისკის შეფასება, გაირკვეს, საჭიროა თუ არა პროდუქტის შემდგომი გამოკვლევა ან დადგინდეს, რომელი მახასიათებლები საჭიროებენ ლაბორატორიულ კვლევას;
- ბაზარზე ზედამხედველობის მიზნით პროდუქტის ინსპექტირება ხორციელდება საქართველოში აკრედიტებული საინსპექ-

ციო ორგანოს ან კანონით უფლებამოსილი ორგანოს მიერ. ინსპექტირება, ასევე დასაშვებია ჩატარდეს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის () აკრედიტებული ინსპექტირების ორგანოების მიერ;

- პროდუქტის ვიზუალური და ფიზიკური შემოწმების ფარგლებში ინსპექტირებისას გამოიყენება საბაზო აღჭურვილობა და კონკრეტული პროდუქტებისთვის შექმნილი საკონტროლო კითხვარი;
- ინსპექტირებისას უნდა ჩატარდეს პროდუქტის ვიზუალური შემოწმება, შემოწმდეს პროდუქტის ნიშანდება და შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული კომპონენტები.

პროდუქტის ლაბორატორიული შემოწმება

- ბაზარზე ზედამხედველობის მიზნით პროდუქტის გამოცდა უნდა განხორციელდეს აკრედიტებული ლაბორატორიის მიერ;
- გამოცდები დასაშვებია ჩატარდეს საქართველოში აკრედიტებულ ან კანონით განსაზღვრულ სხვა ლაბორატორიებში;
- გამოცდის ჩატარება დაიშვება, ასევე ევროკავშირის წევრ ქვეყნებში და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის () აკრედიტებულ ლაბორატორიებში. აღნიშნული მიდგომა გულისხმობს, რომ საკმარისი გამოცდილების მქონე ლაბორატორიის მიერ ჩატარებული გამოცდა შეტყობინებული უნდა იყოს მწარმოებლისათვის.

შედგებზე რეაგირება

ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო ინსპექტირების შედეგების მიხედვით რეაგირებას ახორციელებს დარღვევის ხასიათისა და სიმძიმის შესაბამისად.

- ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო:

- I ხარისხის არსებით შეუსაბამობას, ინსპექტირების ორგანოს მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, იღებს ცნობად და აკეთებს შესაბამის ჩანაწერს მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების უწყებრივ რეესტრში;
- II ხარისხის არსებითი შეუსაბამობის შემთხვევაში, აჯარიმებს ობიექტის მფლობელს, აკეთებს შესაბამის ჩანაწერს „მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების უწყებრივ რეესტრში" და, ასევე ობიექტის მფლობელს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას დარღვევის გამოსწორებისათვის და აკონტროლებს შეუსაბამობის გამოსწორებისათვის დათქმული ვადის დაცვას. ასეთი სახის შეუსაბამობის დადგენილ ვადებში გამოუსწორებლობის შემთხვევაში, შეუსაბამობა იძენს კრიტიკული შეუსაბამობის სტატუსს;
- I და II ხარისხის კრიტიკული შეუსაბამობის შემთხვევაში, ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო გამოსცემს ობიექტის ექსპლუატაციის სრული ან ნაწილობრივი შეჩერების (მათ შორის, ობიექტზე ცალკეული ტექნოლოგიური პროცესის, ტექნიკური ნაკეთობის, მექანიზმის, დანადგარის, მოწყობილობისა და მათი ნებისმიერი კომბინაციის შეჩერების) შესახებ აქტს, აჯარიმებს ობიექტის მფლობელს და განუსაზღვრავს გონივრულ ვადას დარღვევის გამოსწორებისათვის, აკეთებს შესაბამის ჩანაწერს „მომეტებული ტექნიკური საფ-

რთხის შემცველი ობიექტების უწყებრივ რეესტრში", ობიექტი შეაქვს მონიტორინგის ნუსხაში, აკონტროლებს შეუსაბამობის გამოსწორებისათვის დათქმული ვადის დაცვას, რომ აღგილი არ ჰქონდეს გაჩერებული ობიექტის ექსპლუატაციას. ობიექტის ფარულად ექსპლუატაციის შემთხვევაში, აჯარიმებს მის მფლობელს და აჩერებს ობიექტის ექსპლუატაციას (მათ შორის, ცალკეული ტექნოლოგიური პროცესის, ტექნიკური ნაკეთობის, მექანიზმის, დანადგარის, მოწყობილობისა და მათი ნებისმიერი კომბინაციის ექსპლუატაციას);

- ობიექტზე კრიტიკული შეუსაბამობის შემთხვევაში ობიექტის მფლობელი ჯარიმდება შესაბამისი მუხლით განსაზღვრული სრული საჯარიმო თანხით, II ხარისხის არსებითი შეუსაბამობისას ჯარიმის თანხა შეადგენს შესაბამისი მუხლით განსაზღვრული სრული საჯარიმო თანხის ნახევარს;
- შეუსაბამობების აღმოჩენის შემთხვევაში ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს;
- ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო არ არის პასუხისმგებელი მომეტებული საფრთხის შემცველ ობიექტზე მომხდარი დარღვევისა ან/და უბედური შემთხვევის გამო, თუ დარღვევა ან/და უბედური შემთხვევა არ არის პირდაპირ გამოწვეული ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს ქმედებით;
- მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტის ინსპექტირება დასრულებულად ჩაითვლება მას შემდეგ, რაც ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ აქტს;
- ინსპექტირების ორგანოს მიერ მომეტებული საფრთხის შემცველ ობიექტზე კრიტიკული შეუსაბამობის აღმოფხვრის დადასტუ-

რების საფუძველზე, ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო იღებს გადაწყვეტილებას ობიექტის ექსპლუატაციის განახლების შესახებ და ამოიღებს მას მონიტორინგის ნუსხიდან;

- კრიტიკული შეუსაბამობის შემთხვევაში, ობიექტის ექსპლუატაციის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება არ მიიღება, თუ ექსპლუატაციის შეჩერებამ შეიძლება გაზარდოს საფრთხე, ან შეჩერება შეუძლებელია ტექნოლოგიური პროცესის ბუნებიდან გამომდინარე;
- შეუსაბამობის შემთხვევაში, თუკი ობიექტის ექსპლუატაციის შეჩერება უზრუნველყოფს საფრთხის აღმოფხვრას, ობიექტის მფლობელს უფლება აქვს, განუსაზღვრელი ვადით შეაჩეროს ობიექტის ექსპლუატაცია შეუსაბამობის აღმოფხვრის გარეშე, აცნობოს ამის შესახებ ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს. ასეთ შემთხვევაში, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვალდებულება უქმდება და ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს მიერ ობიექტი შეიტანება მონიტორინგის ნუსხაში;
- ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო აკონტროლებს, რომ ადგილი არ ჰქონდეს გაჩერებული ობიექტის ექსპლუატაციას, ხოლო ობიექტის ფარულად ექსპლუატაციის შემთხვევაში, აჯარიმებს მის მფლობელს და აჩერებს ობიექტის ექსპლუატაციას;
- დადგენილ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობა იწვევს დაკისრებული ჯარიმის გასამმაგებას;
- დადგენილ ვადაში შეუსაბამობის გამოუსწორებლობის შემთხვევაში ობიექტის მფლობელს განესაზღვრება დამატებითი გონივრული ვადა შეუსაბამობის გამოსასწორებლად;

- მითითება ფორმდება აქტის სახით, რომლის ერთი ასლი გადაეცემა ობიექტის მფლობელს, ხოლო მეორე ინახება ინსპექტირების ორგანოში;
- მითითების გაცნობად ჩაითვლება ინსპექტორის მიერ ობიექტის უსაფრთხოებისთვის პასუხისმგებელი პირისათვის მითითების შინაარსის გაცნობა და მითითების გადაცემა, რომლის მიღებას ეს პირი ხელმოწერით ადასტურებს, ხოლო აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში – მითითების განთავსება ობიექტზე თვალსაჩინო ადგილზე;
- მითითების ორიგინალი და ერთი ასლი გადაეცემა ობიექტის მფლობელს (ან მის წარმომადგენელს) შემოწმების ჩატარებიდან 1 დღის ვადაში. ოქმის ერთი ასლი რჩება ინსპექტირების ორგანოში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკურ ინსპექტირებას ახორციელებს აკრედიტებული ინსპექტირების ორგანო, ერთი ასლი წარედგინება ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს;
- ინსპექტირების ოქმის ორიგინალი და ერთი ასლი გადაეცემა ობიექტის მფლობელს (ან მის წარმომადგენელს) შემოწმების ჩატარებიდან 1 დღის ვადაში. ოქმის ერთი ასლი რჩება ინსპექტირების ორგანოში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკურ ინსპექტირებას ახორციელებს აკრედიტებული ინსპექტირების ორგანო, ერთი ასლი წარედგინება ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს;
- ობიექტის მფლობელი ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს წარუდგენს მის მიერ გავლილი ინსპექტირებისა და მისი შედეგების შესახებ ინფორმაციას ინსპექტირების გავლიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

შემზღვეველი ზომები

- ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ კანონმდებლობის თანახმად მიღებული ნებისმიერი ზომები პროდუქტის აკრძალვის, ბაზარზე არდაშვების ან ბაზრიდან ამოღების თაობაზე არის პროპორციული იმ რისკის მიმართ, რომელსაც შეიცავს ეს პროდუქტი;
- ასეთი ზომები შესაძლოდ მოკლე ვადაში უნდა ეცნობოს შესაბამის მწარმოებელს, რომელიც, ასევე უნდა იყოს ინფორმირებული გამოსავალის შესახებ, რომელიც კანონთან შესაბამისობაშია და, ასევე გამოსწორებისათვის განკუთვნილი დროის ლიმიტის შესახებ;
- პროდუქტის აკრძალვის, ბაზარზე არდაშვების ან ბაზრიდან ამოღების თაობაზე მიღებული ზომების შესახებ უნდა ეცნობოს მწარმოებელს არანაკლებ 10 დღით ადრე, თუ ასეთი შეტყობინება არ ხერხდება შეტყობინების მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზით, მწარმოებელს უნდა ეცნობოს ზომების შინაარსის შესახებ გონივრულ ვადაში;
- გატარებული ნებისმიერი ზომა უქმდება ან შეიცვლება შესაბამისი ზომით, თუ მწარმოებელმა განახორციელა ეფექტური მაკორექტირებელი ღონისძიებები.

პროცედურები და ქმედებები წუნდებული პროდუქტის მიმართ

საფრთხის შემცველ პროდუქტზე ინფორმაციის მყისიერი გაცვლის სისტემა

- ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო, მას შემდეგ, რაც სრულად მოიცავს ახალი მიდგომის დირექტივებით გათვალისწინებულ სამრეწველო პროდუქტებს, სრულად დანერგავს და განახორციელებს ინფორმაციის მყისიერი გაცვლის სისტემით გათვალისწინებულ ფუნქციებს, მათ შორის ინფორმაციის გავრცელების თვალსაზრისით;
- ინფორმაციის მყისიერი გაცვლის სისტემა დაემყარება შესაბამის კანონმდებლობას და სრულად იქნება შესაბამისობაში ევროპის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკასთან;
- პირველ ეტაპზე მოხდება ინფორმაციის მყისიერი გაცვლის სისტემის დანერგვა ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს მიერ, ქვეყნის ფარგლებს შიგნით და მასში ჩაერთვებიან ქვეყანაში მოქმედი შესაბამისი, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო პირები, ხოლო შემდეგ ეტაპზე მოხდება აღნიშნული ქსელის დაკავშირება ევროკავშირის შესაბამის სისტემასთან;
- ინფორმაციის მყისიერი გაცვლის პროცედურა საფრთხის შემცველ პროდუქტზე მოიცავს:
 - ინფორმაციის მყისიერი გაცვლის სისტემის კავშირს საკონტაქტო პირთან ზედამხედველობის ორგანოში;
 - ბაზრის ზედამხედველობის სახელმწიფო ორგანოსთან ინფორმაციის გაცვლის პროცედურას;
 - ინფორმაციის გაცვლის პროცედურას აკრედიტებულ საინსპექციო ორგანოებსა და სხვა შესაბამის უწყებებთან.

ინფორმაციის გავრცელება

- ბაზარზე ზედამხედველობის სახელმწიფო ორგანო საკუთარი ვებგვერდის მეშვეობით საზოგადოებას და სხვა დაინტერესებულ პირებს მიაწვდის ინფორმაციას ბაზარზე ზედამხედველობის საქმიანობის, ბაზარზე არსებული საფრთხის შემცველი პროდუქტის შესახებ და, ასევე შეიმუშავებს ინსტრუქციებს მომხმარებლისათვის.

ბაზრის ზედამხედველობის ეფექტურობა

- ბაზრის ზედამხედველობის ეფექტურობის მიღწევისათვის განხორციელდება:
 - შესაბამისობის შეფასება – უფლებამოსილი ორგანო ამოწმებს, შეესაბამება თუ არა კონკრეტული პროდუქტი უსაფრთხოების შესაბამის მოთხოვნებს, ასევე გამოსცემს ზედამხედველობის მეთოდებს ჰარმონიზებული სტანდარტების გათვალისწინებით;
 - რისკის შეფასება – იმ შემთხვევაში, თუ პროდუქტი არ აკმაყოფილებს უსაფრთხოების მოთხოვნებს, ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო ინფორმაციის მყისიერი გაცვლის სახელმძღვანელოს მეშვეობით განსაზღვრავს რისკის იმ დონეს, რომელსაც შეიცავს ეს პროდუქტი და გამოიყენებს შესაბამის გადაუდებელ ღონისძიებებს;

- რისკის მენეჯმენტი – თუ რისკის შეფასების შემდეგ საჭირო გახდა შესაბამისი ღონისძიებების გატარება, ასეთ შემთხვევაში გატარებული ღონისძიებები იქნება რისკის პროპორციული.

ინფორმაციის მყისიერი გაცვლის სისტემა საქართველოში

- ინფორმაციის მყისიერი გაცვლის სისტემა შეეხება იმ ინდუსტრიულ პროდუქტს, რომელიც ქმნის საფრთხეს ადამიანის/მომხმარებლების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისათვის, რაც გულისხმობს საფრთხის შემცველ პროდუქტებზე ბაზრის ზედამხედველობის ორგანოებს შორის ინფორმაციის გაცვლას ელექტრონული საშუალებებით, რათა მოხდეს ინფორმაციის სწრაფი მიღება და მასზე შესაბამისი რეაგირება უფლებამოსილი ორგანოს მხრიდან;
- ინფორმაციის მყისიერი გაცვლის სისტემის გამოყენებით განხორციელდება ინფორმაციის გაცვლა ისეთ პროდუქტზე, რომელიც წარმოადგენს/შეიცავს სერიოზულ საფრთხეს ადამიანის ჯანმრთელობის, საკუთრების ან გარემოსათვის;
- ინფორმაციის მყისიერი გაცვლის სისტემაში ჩართული ბაზრის ზედამხედველობის ან სხვა ორგანოს მიერ საფრთხის შემცველ პროდუქტზე გავრცელებულ შეტყობინებაში მოცემული იქნება ყველა დეტალი, და ასევე დამატებით მინიმუმ შემდეგი:
 - ინფორმაცია პროდუქტის იდენტიფიკაციის მიზნით;
 - რისკების აღწერა – მოკლე დასკვნა რისკის შეფასებისათვის (კატეგორიის განსაზღვრის მიზნით) პროდუქტზე განხორციელებული გამოცდებისა და ანალიზების შედეგების შესახებ;

- იმ ღონისძიებების შინაარსი და ხანგრძლივობა, რომელიც უნდა განხორციელდეს საფრთხის შემცველი პროდუქტის მიმართ;
 - ინფორმაციას პროდუქტის მიწოდების ჯაჭვის და ამ პროდუქტის ბაზარზე განლაგების შესახებ, თუ ასეთი ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება განმცხადებლის მიერ;
 - შესაბამისი შეტყობინების მიღების შემთხვევაში ბაზრის ზედამხედველობის ორგანო ან სხვა უფლებამოსილი ორგანო სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მიაწვდის შემდეგ ინფორმაციას:
 - ქვეყნის ტერიტორიაზე, რომელ ბაზარზეა განთავსებული საფრთხის შემცველი პროდუქტი;
 - რა ზომები იქნა მიღებული, სხვადასხვა შეფასებების სახით ან სხვა გადაწყვეტილებები, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
 - სხვა ინფორმაცია, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს რისკის სირთულეს და, ასევე გამოცდებისა და ანალიზების შედეგები;
 - ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო ან სხვა შესაბამისი ორგანო დაუყოვნებლივ აწვდის ინფორმაციას სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს საფრთხის შემცველ პროდუქტთან მიმართებაში დაგეგმილი ქმედებების შეცვლის ან/და ამ ქმედების გადადების შესახებ;
 - ბაზარზე ზედამხედველობის სახელმწიფო ორგანო უზრუნველყოფს სისტემის ინფორმაციის მუდმივ განახლებას და გაუმჯობესებას;
- ბაზარზე ზედამხედველობის სახელმწიფო ორგანო აწვდის ინფორმაციას ბაზრის ზედამხედველობის ორგანოებს ან სხვა უფ-

ლებამოსილ ორგანოებს იმ საფრთხის შემცველი პროდუქტის შესახებ, რომლის იმპორტი ან ექსპორტი ხორციელდება ქვეყნის ტერიტორიაზე;

- ბაზრის ზედამხედველობის სახელმწიფო ორგანოსათვის, ინფორმაციის მყისიერი გაცვლის სისტემის საშუალებით ცრუ ინფორმაციის მიწოდებაზე პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს ინფორმაციის მიმწოდებელ ბაზრის ზედამხედველობის ორგანოს ან ინფორმაციის მიმწოდებელ სხვა უფლებამოსილ ორგანოს;
- სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო უზრუნველყოფს სისტემის გამართულ მუშაობას, რაც, მათ შორის, გულისხმობს შეტყობინებების კლასიფიკაციას მათზე „სასწრაფო“ ხარისხის მინიჭებით;
- ევროკავშირის ინფორმაციის მყისიერი გაცვლის სისტემაში (ჩართვის მიზნით საქართველოს მხარე დაიწყებს მოლაპარაკებას ევროკავშირის სათანადო უწყებებთან და საბოლოოდ, საქართველოს ინფორმაციის მყისიერი გაცვლის სისტემა გახდება ის შემადგენელი ელემენტი.

საბაჟო ორგანოებთან თანამშრომლობა

- გარე სასაზღვრო კონტროლზე პასუხისმგებელი ორგანო ჩაერთვება ინფორმაციის მყისიერი გაცვლის სისტემაში და თავისი კომპეტენციის ფარგლებში, რაც საშუალებას მისცემს მას, იქონიოს პირდაპირი კავშირი ბაზრის ზედამხედველობის ორგანოებთან, მიიღებს და გააგზავნის ინფორმაციას საფრთხის შემცველ პროდუქტებზე.

პროდუქტის ბრუნვაში დაშვება

- თუ ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოების მიერ დადგინდება, რომ სადავო პროდუქტი არ შეიცავს სერიოზულ რისკს ადამიანის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისათვის ან არ შეიძლება ჩაითვალოს ქვეყნის კანონმდებლობის დარღვევად, აღნიშნული პროდუქტი გაშვებულ იქნება ბრუნვაში, იმის გათვალისწინებით, რომ გაშვებასთან დაკავშირებული ყველა სხვა მოთხოვნა და ფორმალობა შესრულებულ იქნა;
- საქართველოს ბაზარზე შესული პროდუქტის კონტროლზე პასუხისმგებელი ორგანოები ადეკვატური შემოწმებებით ხელს შეუწყობს ბაზრის უსაფრთხოებას. ასეთი შემოწმებების ეფექტურობის გაზრდისათვის ბაზარზე ზედამხედველობის სახელმწიფო ორგანო წინასწარ მიიღებს ყველა საჭირო ინფორმაციას საფრთხის შემცველ და ტექნიკურ რეგლამენტებთან შეუსაბამო პროდუქტის თაობაზე ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებისაგან;
- ბაზრის ზედამხედველობის ორგანოები აქტიურად ითანამშრომლებენ საბაჟო ორგანოსთან ბაზრის ზედამხედველობის ეფექტური განხორციელებისათვის. ბაზრის ზედამხედველობის სახელმწიფო ორგანო მოახდენს პროდუქციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცვლას საბაჟო ორგანოებთან;
- სისტემის ფუნქციონირებისა და ეფექტურობისათვის ჩამოყალიბდება ინფორმაციის გაცვლის პროცედურა საბაჟო ორგანოებს, ბაზარზე ზედამხედველობის სახელმწიფო ორგანოსა და სხვა უფლებამოსილ ორგანოებს შორის. ინფორმაციის გაცვლის ასეთი პროცესი განხორციელდება ერთიანი საინფორმაციო სისტემის მეშვეობით, რათა დამყარდეს ეფექტური თანამშრომლობა

ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებსა და საბაჟო ორგანოებს შორის;

- ბაზრის ზედამხედველობის სახელმწიფო ორგანოსა და სხვა უფლებამოსილ ორგანოებს შორის ინფორმაციის გაცვლის პროცედურები განხორციელდება შემდეგი ძირითადი საკითხების გათვალისწინებით:
 - თითოეულ ორგანოს ეყოლება საკონტაქტო პირი;
 - სისტემის მონაწილე თითოეული ორგანოს უფლებები და ვალდებულებები განისაზღვრება დეტალურად;
 - განისაზღვრება ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოების უფლებები და ვალდებულებები;
 - განისაზღვრება საბაჟო ორგანოსა და ინსპექციას შორის თანამშრომლობის ზუსტი მექანიზმი;
 - განისაზღვრება წესები და პროცედურები პროდუქტის თავისუფალი გადაადგილების პრინციპის, მომხმარებელთა უსაფრთხოებისა და უფლებების დაცვის გათვალისწინებით;
 - ბაზრის ზედამხედველობის სახელმწიფო ორგანო მოამზადებს ინსტრუქციებს და საკონტროლო კითხვარებს საბაჟო ორგანოებისთვის იმპორტირებული პროდუქტის უსაფრთხოების კონტროლთან დაკავშირებით ინდუსტრიულ პროდუქტებზე;
 - ბაზარზე ზედამხედველობის სახელმწიფო ორგანო მჭიდროდ ითანამშრომლებს მომხმარებელთა უფლებების დაცვის ორგანიზაციებთან და მიაწვდის მათ ინფორმაციას საფრთხის შემცველი პროდუქტების მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

- ბაზრის ზედამხედველობის სახელმწიფო ორგანო მოამზადებს და განახორციელებს ტრენინგ-პროგრამებს ბაზრის ზედამხედველობის ორგანოებისა და სხვა უფლებამოსილი ორგანოების თანამშრომლებისათვის ბაზარზე ზედამხედველობის დონის-ძიებების განხორციელებასა და პროდუქციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- ტრენინგ-პროგრამები ჩატარდება პერმანენტულად, სტრატეგიის ინპლემენტაციის მთელი პერიოდის განმავლობაში.

შესაბამისობის შეფასება

შესაბამისობის შეფასების მოდულები

- ახალი მიდგომის ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნათა დაცვით წარმოებული პროდუქტის შესაბამისობის შეფასება ხორციელდება მოდულებით:
 - მოდული – შიდა საწარმოო კონტროლი – შესაბამისობის შეფასება, რომელსაც ახორციელებს მწარმოებელი;
 - მოდული – პროდუქტის ნიმუშის (პროტოტიპის) შესაბამისობის შეფასება, რომელსაც ახორციელებს უფლებამოსილი ორგანო;
 - მოდული – შესაბამისობა ტიპთან დაფუძნებული შიდა საწარმოო კონტროლზე – შესაბამისობის შეფასება, როდესაც უფლებამოსილი ორგანო ახორციელებს პროდუქტების კონკრეტული მახასიათებლების გამოცდას და შერჩევით ამოწმებს პროდუქტის შესაბამისობას დადგენილ მოთხოვნებთან;
 - მოდული – შესაბამისობა ტიპთან დაფუძნებული წარმოების პროცესის ხარისხის უზრუნველყოფაზე – შესაბამისობის შეფასება, როდესაც უფლებამოსილი ორგანო ახორციელებს სა-

წარმოში წარმოების ხარისხის სისტემის ან მისი ნაწილების შემოწმებას და ზედამხედველობას სისტემის სათანადო ფუნქციონირებაზე;

- მოდული – შესაბამისობა ტიპთან დაფუძნებული პროდუქტის ხარისხის უზრუნველყოფაზე – შესაბამისობის შეფასება, როდესაც უფლებამოსილი ორგანო ახორციელებს საწარმოში პროდუქტის ხარისხის სისტემის ან მისი ნაწილების შემოწმებას და ზედამხედველობას სისტემის სათანადო ფუნქციონირებაზე;
- მოდული – შესაბამისობა, დაფუძნებული პროდუქტის შემოწმებაზე – სერტიფიცირებულ ტიპთან ან დადგენილ მოთხოვნებთან პროდუქტის შესაბამისობის შემოწმება, რომელიც ხორციელდება მწარმოებლის, იმპორტიორის, აკრედიტებული ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ თითოეულ პროდუქტზე ან სტატისტიკურად შერჩეულ ნიმუშზე;
- მოდული – შესაბამისობა, დაფუძნებული ცალკეული პროდუქტის შემოწმებაზე – უფლებამოსილი ორგანოს მიერ თითოეული პროდუქტის ყველა დადგენილ მოთხოვნასთან შესაბამისობის შემოწმება;
- მოდული – შესაბამისობა, დაფუძნებული ხარისხის სრულ უზრუნველყოფაზე – ზედამხედველობა, რომელსაც ახორციელებს უფლებამოსილი ორგანო საწარმოში ხარისხის სისტემის სათანადო ფუნქციონირებაზე და, საჭიროების შემთხვევაში, დაპროექტების ეტაპზე ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნებთან პროდუქტის შესაბამისობის შეფასება;

- შესაბამისობის შეფასების მოდულები და ქვემოდულები და მათთან დაკავშირებული პროცედურები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით;
- კონკრეტული ტექნიკური რეგლამენტით განისაზღვრება შესაბამისობის შეფასების ის მოდული (ქვემოდული) ან მათი კომბინაცია, რომელიც ადგენს მოქმედებათა თანამიმდევრობას შესაბამისობის შეფასებისას და რომლის შედეგები განიხილება, როგორც მტკიცებულება შესაბამისობის შეფასების ობიექტებისადმი დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე და რომლის საფუძველზეც გაიცემა შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- დაუშვებელია შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე შესაბამისობის შეფასებას დაქვემდებარებული პროდუქტის ბაზარზე განთავსება ან ფუნქციონირება, თუ აღნიშნული გათვალისწინებულია ტექნიკური რეგლამენტით.

შესაბამისობის შემფასებელი ორგანო

- რეგულირებულ სფეროში შესაბამისობის შეფასების განხორციელების უფლება აქვს დადგენილი წესით აკრედიტებულ ან სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილ სხვა ორგანოს, ასევე საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ქვეყნების შესაბამისობის შემფასებელ ორგანოებს, საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტები

- შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტებია:

- მწარმოებლის დეკლარაცია – დოკუმენტი, რომელშიც მწარმოებელი ადასტურებს დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების ობიექტის შესაბამისობას;
- შესაბამისობის სერტიფიკატი – დოკუმენტი, რომლითაც სერტიფიკაციის ორგანო ადასტურებს დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების ობიექტის შესაბამისობას;
- ინსპექტირების სერტიფიკატი ან/და ოქმი – დოკუმენტი, რომლითაც ინსპექტირების ორგანო ადასტურებს ან არ ადასტურებს დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების ობიექტის შესაბამისობას.

საზღვარგარეთ გაცემული შესაბამისობის დამადასტურებელი

დოკუმენტი

- პროდუქტის უსაფრთხოების მაღალი სტანდარტებისა და კარგად განვითარებული ხარისხის ინფრასტრუქტურის მქონე ქვეყნებში დადგენილი წესით გაცემული შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტები აღიარებულად ითვლება ყოველგვარი დამატებითი პროცედურების გარეშე. ასეთ შემთხვევაში შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იქნეს ინგლისურ ენაზე ან ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანით;
- კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევაში შესაბამისობის შეფასება ტარდება საქართველოში ან /
ხელმომწერი, სახელმწიფოებში აკრედიტებული შესაბამისობის შემფასებელი პირის მიერ.

ახალი მიდგომის ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნებით დამზადებული პროდუქტის ბაზარზე ზედამხედველობა

- ახალი მიდგომის ტექნიკური რეგლამენტების ეტაპობრივად დანერგვის შემდეგ ამ რეგლამენტებით რეგულირებული პროდუქტების შესაბამისობის შეფასება და ბაზარზე ზედამხედველობა განხორციელდება ქვემოთ მოცემული ცხრილის მიხედვით.